

**ეეთევან გოგინაშვილი  
შორენა შარია**

**ზოგადი და ადამიანის  
გენეტიკის ამოცათა  
პრეპული**

გამომცემლობა

თბილისი

2009

UDC (უაკ) 575 (076)  
გ-26  
გ-601

**ქათევან გოგინაშვილი  
შორენა შარია**

**ზოგადი და ადამიანის გენეტიკის  
ამოცანათა პრეპული**

რეცენზენტები:

**6. გოგინაშვილი**

ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი.  
ტყის დაცვის განყოფილების მეცნიერ-  
თანამშრომელი. მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიური დოქტორი

**ე. დაღუნაშვილი**

ბიოლოგის დოქტორი

ISBN 978-9941-0-1963-0

**ქათეგან გოგინაშვილი  
შორენა შარია**

**ზოგადი და აღამიანის გენეტიკის  
ამოცანათა პრეპული**

**წიგნი დაიბეჭდება ავტორთა ფინანსური  
უზრუნველყოფით.**

**გელა შუბაპიძე  
კომპიუტერული უზრუნველყოფა**

**თბილისი  
2009**



## ტინასიტყვაობა

მემკვიდრულობის ინფორმაციის გადაცემა რაოდენობრივ კანონზომიერებებს ექვემდებარება, ამიტომ გენეტიკა ზუსტ მეცნიერებათა რიცხვს მიეკუთვნება.

მისი გამოყენება საშუალებას გვაძლევს მშობლის ფენოტიპების მონაცემებით დავადგინოთ შვილების გენოტიპი, გამოვიანგარიშოთ ნიშნების დათიშვა და ვიწინასწარმეტყველოთ ისეთი ბავშვის დაბადების ალბორობა, რომელსაც უქნება ესა თუ ის ნიშანი, დათიშვის საფუძველზე დავადგინოთ გენთა შორის მანძილი და სხვა.

გენეტიკის კანონზომიერებათა რაოდენობრივი ზასიათი განაპირობებს მისი სწავლების სპეციფიკას და გენეტიკის საფუძვლების ასათვისებლად საჭიროა ამოცანების ამოხსნა.

ექიმისათვის გენეტიკური ამოცანების ამოხსნას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ, აუცილებელია მემკვიდრული ავადმყოფობით დაავადებულ ადამიანთა ოჯახის წევრების გენეტიკური კონსტიტუციის დასადგენად, ე.ო. მაშინ, როდესაც გვინდა დავადგინოთ ავადმყოფობისაღმი მემკვიდრული მიდრეკილებანი და ავადმყოფი ბავშვების დაბადების ალბორობა.

ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ზოგადი და ადამიანის გენეტიკის ამოცანათა კრებული ცოტად თუ ბევრად შევსებული და განახლებული სახით გამოგვეცა.

# I თავი

## მოცემის დიდული შეჯვარება

ერთი წყვილი აღტერნატიული (ურთიერთგამომრიცხველი) ნიშნით განსხვავებულ ინდივიდთა შეჯვარებას, მონოპიბრიდული შეჯვარება ეწოდება. მაგალითად, ბარდის ყვავილის წითელი და თეთრა შეფერილობა, ზღვის გოჭების ბეწვის თეთრი და შავი შეფერილობა, ადამიანის თვალების თაფლისფერი და ცისფერი შეფერილობა.

აღტერნატიული ნიშნები დეტერმინირებულია (განპირობებულია) წყვილი ალელური (ალელომორფული) გენებით, რომლებიც ერთი და იმავე გენის სახეცვლილებას წარმოადგენს.

მონოპიბრიდული შეჯვარების კანონზომიერებანი დადგინა 1865 წ. ექსპერიმენტული გენეტიკის ფუძემდებულმა გ. მენდელმა.

გ. მენდელის გამეტათა სიწმინდის კანონის მიხედვით მშობელთა ალელურ გენთა წყვილიდან ზიგოტაში გადადის თითო ალელი, ე.ი. ერთი მამისაგან, მეორე – დედისაგან და თუ დედისა და მამისაგან მიღებული გენები განსხვავებულია, მაშინ ზიგოტაც და მისგან განვითარებული ინდივიდის სომატური უჯრედებიც ჰიბრიდული ხასიათისა იქნება, ხოლო მომწიფებული სასქესო უჯრედები (გამეტები) კი გენეტიკურად წმინდაა, რადგან ალელური გენების ყოველი წყვილიდან გამეტაში მხოლოდ ერთი გენი გადადის.

ორგანიზმს, რომელიც ორივე მშობლიდან ერთნაირ გენებს მიიღებს BB ან bb ეწოდება ჰომოზიგოტი, ხოლო ორგანიზმს, რომელიც მოცემული ალელური წყვილიდან სხვადასხვა გენს მიიღებს, მაგალითად B გენს დედისაგან და b გენს მამისაგან – Bb, ჰეტეროზიგოტი ეწოდება.


ჰეტეროზიგოტულ ინდივიდში ალელური გენები ურთიერთმოქმედებენ, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც დომინირებს

(თრგუნავს, ბატონიბს) დომინანტი ეწოდება, მეორეს, რომელიც ითრგუნება – რეცესივია. დომინანტ გენს აღნიშნავენ ლათინური დიდი ასოთი B, რეცესივს კი – b-თი.


## ამოცანები მოცოდისრიდულ შეჯგარებაზე

### ამოცანა

წითელყვავილიანი ჰომოზიგოტი ბარდა შეჯვარეს თეთრყვავილიან ბარდას.



ყველა ინდივიდი ფენოტიპურად წითელია, გენოტიპურად – ჰეტეროზიგოტი.  
პირველი თაობის ინდივიდთა შეჯვარება:



ფენოტიპური შეფარდება 75% წითელყვავილოვანი : 25% თეთრყვავილოვნთან ანუ 3:1  
გენოტიპურად: 1AA : 2Aa : 1aa

პირველი თაობის ყველა ინდივიდი ფენოტიპურად ერთნაირია, ამის საფუძველზე მენდელმა მოგვცა I თაობის ერთგვაროვნების კანონი.

მეორე თაობაში მოხდა დათიშვა მშობელთა ნიშნების მიხედვით 3:1 შეფარდებით და მენდელმა ჩამოაყალიბა II კანონი – დათიშვის კანონი.

მაშასადამე, ფენოტიპური შეფარდებაა 3 ნაწ. წითელი: 1 ნაწ. თეთრთან. ე.ი. მონოპიბრიდული შეჯვარების დროს პირველი თაობის ყველა ინდივიდის სხეულის ყველა სომატურ უჯრედში არის Aa გენი, გამეტების წარმოქმნის ანუ (მომწიფების დროს) წყვილი გენები ერთმანეთს სცილდება და გამეტაში გადადის ამ წყვილიდან თითო გენი (ან A ან a). მაშასადამე Aa გენოტიპის მქონე ინდივიდი წარმოქმნის ორი სახის გამეტას (A და a) თანაბარი რაოდენობით.

### ამოცანა

რამდენი ტიპის გამეტას წარმოქმნის შემდეგი გენოტიპის მქონე ინდივიდები.

- ა) BB გენოტიპის მქონე ინდივიდი.
- ბ) Dd გენოტიპის მქონე ინდივიდი.

### ამოცანა

მარტ ინდივიდს აქვს Cc გენოტიპი. როგორი ტიპის სპერმატოიდებს წარმოქმნის?

### ამოცანა

მდედრ ორგანისმს აქვს Nn გენოტიპი, მეორზის დროს თუ N გენი კვერცხუჯრედში მოხვდა, სად მოხვდება n გენი?

### ამოცანა

რამდენი ტიპის გამეტას წარმოქმნის ხუთთითიანი ქალი? თუ ხუთთითიანობა რეცესივი ნიშანია?

გ. მენდელის მიერ დადგენილი კანონზომიერებანი სა-შუალებას გვაძლევს დავადგინოთ შთამომავლობის ფენოტიპიც და გენოტიპიც, იმ შემთხვევაში თუ მშობლების გენოტიპი ცნო-ბილია.

ბარდაში თესლის ყვითელი ფერის განმსაზღვრელი გენი (B) – დომინანტობს მწვანე შეფერილობის განმსაზღვრელ გენზე (b). როგორ შედეგს მივიღებთ, თუ ჰეტეროზიგოტ ყვი-თელთესლიან მცენარეს შეუჯვარებთ ჰეტეროზიგოტ ყვითელ-თესლიანს?

#### ამოცანა

როგორ შედეგს მივიღებთ, თუ ჰეტეროზიგოტ ყვითელ-თესლიან მცენარეს შეუჯვარებთ ჰომოზიგოტ ყვითელთეს-ლიანს? (ყვითელი ფერის განმსაზღვრელი გენი დომინანტია).

#### ამოცანა

შეიძლება თუ არა მწვანეთესლიანი მცენარის მწვანეთეს-ლიანთან შეჯვარებით მივიღოთ ყვითელთესლიანი მცენარეები? (ყვითელთესლიანობის გენი დომინატია).

#### ამოცანა

როგორი შედეგი მიიღება თუ ჰეტეროზიგოტ ყვითელ-თესლიან მცენარეს შეუჯვარებთ მწვანეთესლიანს? (დომინანტია ყვითელთესლიანობის გენი).

#### ამოცანა

რა შემთხვევაში მიიღება პირველ თაობაში ნახევარი ყვი-თელთესლიანი და ნახევარი მწვანეთესლიანი მცენარეები? (ყვი-თელთესლიანობის განმსაზღვრელი გენი დომინანტია).

### **ამოცანა**

თესლის გლუკი ფორმის განმსაზღვრული გენი (B) დო-  
მინანტობს დანაოჭებულზე (b). ერთმანეთს შეუჯვარეს გლუკ-  
თესლიანი და დანაოჭებულთესლიანი მცენარეები. როგორი შთა-  
მომავლობა მიიღება პირველ და მეორე თაობაში.

### **ამოცანა**

გლუკთესლიანი მცენარე შეუჯვარეს დანაოჭებულთეს-  
ლიანს. პირველ თაობაში მიიღეს დათიშვა, სადაც ინდივიდთა  
ნახევარს აღმოაჩნდა გლუკი, მეორე ნახევარს კი დანაოჭებული.  
როგორია მშობლების გენოტიპი? (დომინანტია გლუკთესლიანო-  
ბა).

### **ამოცანა**

თაფლისფერთვალებიან მშობლებს შეეძინათ ცისფერ-  
თვალებიანი შვილი. როგორ ნიშანს წარმოადგენს ცისფერ-  
თვალიანობა? როგორი გენოტიპი ჰქონიათ მშობლებს?

### **ამოცანა**

შეიძლება თუ არა წითურთმიან მშობლებს შეეძინოთ  
შავთმიანი შვილი? (შავთმიანობა დომინანტი ნიშანია).

### **ამოცანა**

რუხსხეულიანი დროზოფილები შეუჯვარეს ერთმანეთს.  
მიღებულ შთამომავლობაში მოხდა დათიშვა, სადაც 3 ნაწილს  
აღმოაჩნდა რუხი ფერის სხეული, ერთ ნაწილს კი შავი. რო-  
გორი გენოტიპები აქვთ მშობლებს?

### **ამოცანა**

დროზოფილაში სხეულის რუხი შეფერილობის გენი (B)  
დომინირებს სხეულის შავი ფერის განმსაზღვრულ გენზე (b).  
ორი რუხი ფერის დროზოფილა შეუჯვარეს ერთმანეთს. პირვე-  
ლი თაობის ყველა ინდივიდს აღმოაჩნდა სხეულის რუხი შეფე-

რილობა. შეიძლება თუ არა მიღებული შედეგით განვსაზღვროთ მშობლების გენოტიპი.

### ამოცანა

შავთმიან მშობლებს შეეძინათ ქერათმიანი შვილი. როგორ გენოტიპი პქონიათ მშობლებს, თუ შავთმიანობა დომინანტია.

### ამოცანა

რამდენი სახის გამეტას წარმოქმნიან მდედრი და მამრი დროზოფილები. (მდედრი პომოგამეტურია (xx), მამრი პეტერო-გამეტურია (xy)).

### ამოცანა

ცისფეროვალა მამაკაცმა, რომლის მშობლებს თაფლისფერი თვალები პქონდათ, ცოლად შეირთო თაფლისფერთვალება ქალი, რომლის მამას პქონდა ცისფერი თვალები. როგორი შთამომავლობა მიღება თუ ვიცით, რომ თვალის ცისფერი შეფერილობა რეცესივია.

## მრავლობითი აღელიზმი

ცნობილია, რომ მონოპიბრიდული შეჯვარების შემთხვევაში ერთი გენი ორი ალელის მდგომარეობაშია. (A და a) (B და b) და ა.შ. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე გენს აქვს სამი ან მეტი ალელური მდგომარეობა. გენის ყველა ალელური მდგომარეობა აღინიშნება სხვადასხვა ინდექსის მქონე ერთი ასოთი. მაგ.:  $I^A$ ,  $I^B$ ,  $I^O$ . მრავლობითი ალელების შემთხვევაში ერთდროულად ყოველ ორგანიზმს შეიძლება პქონდეს ერთი გენის მხოლოდ ორი ერთნაირი ან სხვადასხვა ალელი. მაგ.:  $I^OI^O$ ,  $I^AI^O$ ,  $I^BI^O$ . გამეტაში კი სვდება მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი  $I^O$  ან  $I^A$ .

## ამოცანები

ამოცანები მრავლობით ალელიზმზე (ადამიანის სისხლის ჯგუფების მიხედვით).

О ჯგუფის ადამიანებში (იანსკის მიხედვით) არცერთი ანტიგენი (A) და (B) არ არის. A ჯგუფის ადამიანებში (II ჯგ.) A ანტიგენია. III ჯგუფის ადამიანებში კი B ანტიგენია, ხოლო IV ჯგუფის ადამიანებში ორივე A და B ანტიგენია.

ABO სისხლის ანტიგენები დეტერმინირებულია მრავლობითი ალელის  $I^O$ ,  $I^A$  და  $I^B$  გენებით.  $I^O$  გენი სისხლის I ჯგუფს განაპირობებს და რეცესულია. A გენი განაპირობებს II ჯგუფს, B გენი კი – სისხლის III ჯგუფს.  $I^A$  და  $I^B$  გენოტიპის შემთხვევაში ორივე ანტიგენია (A და B) და განსაზღვრავს სისხლის IV ჯგუფს.

### ამოცანა

I ჯგუფის სისხლის მქონე ქალი დაქორწინდა II ჯგუფის სისხლის მქონე ჰომოზიგოტ მამაკაცზე. შეეძინათ ერთი შვილი. რომელი ჯგუფის სისხლის და გენოტიპის მქონეა ბავშვი?


### ამოცსნა

$$\begin{array}{ccccccc} P & \varnothing & I^O I^O & x & \sigma & I^A I^A \\ \text{გამეტები} & & \textcircled{I^O} & & & \textcircled{I^A} \\ F_1 & & & I^A I^O & & \text{II ჯგ.} \end{array}$$

### **ამოცანა**

I ჯგუფის სისხლის მქონე ქალი გათხოვდა IV ჯგუფის სისხლის მქონე მამაკაცზე. გადაეცემა თუ არა მათ შვილებს რომელიმე მშობლის სისხლის ჯგუფი?


### **ამოცანა**



### **ამოცანა**


II ჯგუფის ჰომოზიგოტური გენოტიპის მქონე ქალი დაქორწინდა I ჯგუფის მქონე მამაკაცზე. რომელი ჯგუფის სისხლი ექნებათ შვილებს.

### **ამოცანა**



### **ამოცანა**

II ჯგუფის სისხლის მქონე ქალი ჰეტეროზიგოტი გენოტიპით დაქორწინდა I ჯგუფის სისხლის მქონე მამაკაცზე. რომელი ჯგუფის სისხლი ექნებათ მათ შვილებს.



ე.ო. 50%-ს ექნებათ I ჯგუფის სისხლი, 50% – II ჯგ.

### ამოცანა

III ჯგუფის სისხლის მქონე ჰომოზიგოტური ქალი ( $I^B I^B$ ) დაქორწინდა I ჯგუფის სისხლის მქონე მამაკაცზე. რა ჯგუფის სისხლი ექნებათ მათ შვილებს?

### ამოცანა


დედას აქვს I ჯგუფის სისხლი, მამას III. შეიძლება თუ არა შვილებმა იმემკვიდრონ დედის სისხლის ჯგუფი?

### ამოცსნა


შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მამას ექნება III ჯგ. სისხლი გენოტიპით  $I^B I^O$ .

### ამოცანა

რომელი ჯგუფის სისხლი შეიძლება ჰქონდეთ შვილებს, თუ დედას აქვს II ჯგუფის სისხლი, მამას კი I ჯგუფის სისხლი.



ხოლო თუ დედა ჰეტეროზიგოტია



### ამოცანა

ბიჭს I ჯგუფის სისხლი აქვს, მის დას IV. რა შეიძლება ვთქვათ მშობლების სისხლის ჯგუფებზე?

### ამოცანა

მშობლებს აქვთ II და III ჯგუფის სისხლი. რომელი ჯგუფის სისხლი შესაძლებელია გააჩნდეს მათ შვილებს?

### ამოცანა

მმებს გააჩნიათ IV ჯგუფის სისხლი. რომელი ჯგუფის სისხლი გააჩნიათ მათ მშობლებს?

### ამოცანა

მამას აქვს I ჯგუფის სისხლი, დედას III ჯგუფის სისხლი. მათ ქალიშვილს I ჯგუფის სისხლი. ეს გოგონა გათხოვდა, მისი მეუღლე ჰეტეროზიგოტულია II ჯგუფის სისხლით. მათ შეეძინათ ორი გოგონა. პირველს ჰქონდა IV ჯგუფის სისხლი, მეორეს კი – I ჯგუფის სისხლი. დაადგინეთ ოჯახის წევრთა გენოტიპები. არ შეიძლება მათ IV ჯგ. მქონე შვილი, რომ ეყოლოთ.

## რეზუს ფაქტორი



ადამიანის ერითროციტებში რეზუს ფაქტორის ( $Rh^+$ ) განპირობებულია დომინანტური D გენით, ხოლო ამ ანტიგენის არ არსებობას ( $Rh^-$ ) განაპირობებს მისი რეცესიული ალელი d. I ჯგუფის სისხლის გენი  $I^0$  რეცესიულია II ჯგუფ  $I^A$  და III ჯგუფ  $I^B$  გენების მიმართ.  $I^A$  და  $I^B$  გენები კოდომინანტურებია. მათი შესამებით ( $I^A I^B$ ) განისაზღვრება სისხლის IV ჯგუფი.

## ამოცანები

### ამოცანა

ქმრის გენოტიპია  $ddI^A I^O$ , ცოლის  $DdI^B I^B$ , როგორია რეზუს დადებითი IV ჯგუფის სისხლის მქონე ბავშვების დაბადების ალბათობა?

$$P \quad ♀ \quad DdI^B I^B \quad \times \quad ♂ \quad ddI^A I^O$$




IV ჯგრებ. დად.      IV ჯგრებ. უარყ.      III ჯგრებდად.      III ჯგრებ. უარყ.  
 $DdI^A I^B$ ,       $ddI^A I^B$ ,       $DdI^B I^O$ ,       $ddI^B I^O$

### ამოცანა

II ჯგუფის რეზუს დადებითი ქალი, რომლის მამას ჰქონდა რეზუს უარყოფითი I ჯგუფის სისხლი დაქორწინდა I ჯგუფის რეზუს უარყოფით მამაკაცზე, როგორია იმის ალბათობა, რომ ბავშვი დაიბადოს მამის ორივე ნიშნით?

### ამოცანა


$$♀ \quad DdI^A I^O \quad \times \quad ♂ \quad ddI^O I^O$$




$DdI^A I^O$ ,  $ddI^A I^O$ ,  $DdI^O I^O$ ,  $ddI^O I^O$       I ჯგრებ. უარყ.

## არასრული დომინაცია

სრული დომინაციას დროს ერთი გენი სრულად თრგუნავს მეორე გენის გამოვლინებას. ა.მ. ყვითელთესლიანი ბარდის მწვანეობისა დარდასთან შეჯვარების დროს, პირველ თაობაში ყველა ბარდას აქვს ყვითელი ფერის თესლი, მაგრამ არასრული ანუ შუალედური დამემკვიდრეობის დროს სრულად ვერ თრგუნავს დომინანტი გენი რეცესიული გენის მოქმედებას და პირველი თაობის შთამომავლობაში შეიმჩნევა მშობელთა ნიშნებს შორის შუალედური ნიშნის გამოვლენა და დათიშვა  $F_2$  თაობაში არის 1:2:1. ამ შემთხვევაში ფენოტიპური და გენოტიპური შეფარდება ერთმანეთს თანხვდება (1:2:1). მაგალითად, წითელყვავილიანი გულისაბა შეუჯვარეს თეთრყვავილიანს.



პირველი თაობის ინდივიდები შეუჯვარეს ერთმანეთს



1 წით. : 2 ვარდ. : 1 თეთრი ფენოტიპური დათიშვა  
1AA : 2Aa : 1aa გენოტიპური დათიშვა


# ამოცანები

## ამოცანა

შეიძლება თუ არა წმინდა სახით მიღებულ იქნას ვარ-დისფერი გულისაბა?

## ამოცანა

ანდალუზიის ჯიშის ქათმების პიგმენტაცია დეტერმინირებულია  $B$  გენით, რომელიც ბუმბულის შავ ფერს განაპირობებს და  $B^1$  გენით, რომელიც ბუმბულის თეთრ ფერს განაპირობებს მათი შეჯვარებით. I თაობის ინდივიდებს აღმოაჩნდათ ცისფერი ბუმბული.




- მოხდება თუ არა დათიშვა პირველ თაობაში, თუ შევაჯვარებთ ორ შავბუმბულიან ინდივიდს?
- მოხდება თუ არა დათიშვა პირველ თაობაში, თუ შევაჯვარებთ ორ თეთრ ინდივიდს?
- მოხდება თუ არა დათიშვა  $F_1$ -ში, თუ შევაჯვარებთ ორ ცისფერ ინდივიდს?

## ამოცანა

იშვიათი (a) გენი ადამიანში იწვევს შთამომავლობით ანოფეროვანიას (თვალის კაკლის უქონლობას). ალელური  $A$  გენი განაპირობებს თვალის ნორმალურ განვითარებას, ხოლო ჰეტეროზიგოტებში თვალის კაკლი ზომაში პატარავდება.

- ა) მშობლები ჰეტეროზიგოტები არიან A გენის მიმართ.  
დაადგინეთ  $F_1$  თაობაში გენოტიპური და ფენოტიპური  
დათიშვა.



1AA, 2Aa, 1aa

1 ნორმალური თვა- : 2 პატარა ზომის : 1 თვალის კაკლის  
ლიანი თვალიანი : არმქონე

- ბ) A გენის მიმართ ჰეტეროზიგოტი მამაკაცი დაქორწინდა  
ნორმალური თვალის კაკლის მქონე ქალზე. როგორი  
ფენოტიპური დათიშვაა მოსალოდნელი პირველ თაო-  
ბაში.

## პოდომინაცია

კოდომინირების შემთხვევაში ერთი ალელური წყვილი  
განსხვავებული მნიშვნელობისაა. არცერთი მათგანი არ თრგუ-  
ნავს მეორე გენის მოქმედებას იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერ-  
თად არიან გენოტიპში, ორივე გენი ავლენს თავიანთ მოქმედე-  
ბას. კოდომინირების ტიპიური მაგალითია AB სისტემის მიხედ-  
ვით ადამიანის სისხლის ჯგუფების მემკვიდრულობა. გენოტიპში  
 $I^A$  და  $I^B$  გენების ერთდროული არსებობა განაპირობებს ერი-  
თროვიტში A და B ანტიგენების არსებობას (IV ჯგუფი).

# მოცემის რიზული ამოცანები ადამიანის გენეტიკაში

## ამოცანა

ფენილკარბონურია (ფენილალანინის ცვლის დარღვევა, რომელიც იწვევს აზროვნების უნარის დაქვეითებას) მემკვიდრეობით გადაეცემა როგორც აუტოსომურ-რეცესიული ნიშან-თვისება. როგორი შვილები შეეძინებათ ამ ნიშან-თვისებებით ჰეტეროზიგოტულ მშობლებს და როგორია დაავადებული ბავშვების დაბადების ალბათობა.

## ამოცანა

ალბინიზმი-აუტოსომურ-რეცესიული მემკვიდრეობითი პა-თოლოგიაა. ქალი ალბინოსი დაქორწინდა ჯანმრთელ მამაკაცზე. მათ შეეძინათ ალბინოსი შვილი. რა ალბათობითაა შესაძლებელი, რომ მეორე შვილიც ალბინოსი იქნება.


## ამოცანა

ოჯახური მიოპლეგია (პერიოდულად განმეორებითი კიდურების დამბლა) განპირობებულია დომინანტური M გენით. ოჯახური მიოპლეგის გენის მიმართ ჰეტეროზიგოტური მამაკაცი დაქორწინდა ჯანმრთელ ქალზე. როგორი ალბათობაა, რომ მათ შვილს მიოპლეგია ექნებათ.

## ამოცანა

ცოლ-ქმარი ნათესავები არიან და ორივე ჰეტეროზიგოტურია ოჯახური მიოპლეგის გენის მიმართ. დაადგინეთ ავადმყოფ ბავშვთა დაბადების ალბათობა.

## **ამონა**



## **ამოცანა**

კონოვალოვა-ვილსონის (სპილენძის ცვლის დარღვევა) ავადმყოფობა მემკვიდრეობით გადაეცემა როგორც აუტოსომურ-რეცესიული ნიშანი. როგორია ჯანმრთელი ბავშვების დაბადების ალბათობა, როდესაც მშობლები ჰეტეროზიგოტურებია?

## **ამოცანა**

თაფლისფერთვალება ქალი დაქორწინდა ცისფერთვალა ქაცზე. როგორი შთამომავლობა ეყოლებათ, თუ ცნობილია, რომ ქალის მამა იყო ცისფერთვალება?

## **ამოცანა**

შეიძლება თუ არა შავთვალა მშობლებს შეეძინოთ ცის-ფერთვალა შვილი?

## **ამოცანა**

ადამიანში რეცესიული (s) გენი განაპირობებს თანდაყოლილ ყრუ-მენჯობას. მემკვიდრულად ყრუ-მუნჯი ქალი გათხოვდა ნორმალური სმენის მქონე მამაკაცზე. მათ ეყოლათ ყრუ-მუნჯი შვილი. შეიძლება თუ არა მშობლების გენოტიპის დადგენა.

### **ამოცანა**

სინდაქტილია ანუ თითების შეზრდა განპირობებულია დო-მინანტი გენით. აღნიშნული დეფექტის მქონე ქალი გათხოვდა ორჯერ. ორივე მამაკაცს თითები ჰქონდა ნორმალური. პირველი ქორწინებიდან შეეძინათ ორი შვილი. ერთს ჰქონდა შეზრდილი თითები. მეორე ქორწინებიდან შეეძინათ სამი შვილი, რომელ-თაგან ორს ჰქონდა შეზრდილი თითები. როგორი გენოტიპი აქვს ქალსა და მის მეუღლეებს?

### **ამოცანა**

მცირე ძირითადი კბილების არარსებობა მემკვიდრეობს, როგორც აუტოსომური დომინანტური ნიშანი. როგორია ნორ-მალური ბავშვების დაბადების ალბათობა. სადაც ორივე მშობე-ლი ჰეტეროზიგოტია ამ ნიშნის მიხედვით.

### **ამოცანა**

“ქათმის” სიბრმავე რიგ შემთხვევაში მემკვიდრულობითაა განპირობებული დომინანტური აუტოსომური გენით N. ქალი, რომელიც დაავადებულია ქათმის სიბრმავით დაქორწინდა ჯანმრთელ მამაკაცზე. შეეძინათ ექვსი შვილი ყველა დაავადე-ბული ქალის დაც ასევე დაავადებული იყო “ქათმის” სიბრმა-ვით. მისი და დაქორწინდა ჯანმრთელ მამაკაცზე. შეეძინა სამი ჯანმრთელი და ერთი ავადმყოფი ბავშვი. როგორია გენოტიპი დების და მათი მშობლების, თუ ისინი ორივე “ქათმის” სიბრმა-ვით იყვნენ დაავადებულები.

### **ამოცანა**

ადამიამში მემარჯვნიობა დომინანტური ნიშანია, ცაციობა რეცესიული. მემარჯვნიე კაცი, რომლის დედა იყო ცაცია და-ქორწინდა მემარჯვნიე ქალზე, რომელსაც ჰყავდა სამი მმა, რო-მელთაგან ორი იყო ცაცია. გამოარკვიეთ მათი შესაძლო გენო-ტიპი და ალბათობა იმისა, რომ მათ ეყოლებათ ცაცია შვილები.

## **ამოცანა**

ანირიდია (ფერადი გარსის უქონლობა, რქოვანისა და ბროლის შემრღვევა და მხედველობის სიმკვეთრის დაქვეითება) მემკვიდრეობს როგორც აუტოსომურ-დომინანტური ნიშანი. გამოარყიეთ ოჯახში ჯანმრთელ ბავშვთა დაბადების ალბათობა, სადაც ერთ მშობელს აქვს ანირიდია, მეორე კი ჯანმთელია ამ გენის მიმართ.

## II თავი

### დიპიბრიდული შეჯვარება


დიპიბრიდული შეჯვარება ეწოდება ისეთ შეჯვარებას, როდესაც შესაჯვარებელი ინდივიდები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ორი წყვილი ალტერნატიული ნიშნით. მაგ.: ყვითელი გლუკოზისლიანი ბარდა და მწვანე დანაოჭებულ თესლიანი ბარდა.

### ამოცანები

#### ამოცანა

ყვითელთესლიანი გლუკოზი შეუჯვარეს მწვანე დანაოჭებულთესლიანს, როგორი შთამომავლობაა მოსალოდნელი პირველ და მეორე თაობაში და როგორი იქნება მათი ფენოტიპური და გენოტიპური შეფარდება?

#### ამოცანა



F<sub>1</sub> თაობაში მიღებულია ყველა ყვითელი გლუკოზისლიანი, ე.რ. დომინანტი ნიშანი ყოფილა თესლის ყვითელი ფერი და გლუკოზი ფორმა. მეორე თაობის ანალიზისათვის გამოვიყენოთ პენეტის მიერ შემოთავაზებული ცხრილი.

**AaBb**

x

**AaBb**



$\sigma \backslash \sigma'$	AB	Ab	aB	ab
AB	AABB	AABb	AaBB	AaBb
Ab	AABb	AAbb	AaBb	Aabb
aB	AaBB	AaBb	aaBB	aaBb
ab	AaBb	Aabb	aaBb	aabb

მეორე თაობაში მოხდა დათიშვა მშობელთა ნიშნების მიხედვით, სადაც  $9/16$ -ს აღმოაჩნდა ორივე დომინანტი ნიშანი ყვითელი გლუკი,  $3/16$  ნაწილს 1 დომინანტი 1 რეცესივი,  $3/16$ -ს 1 რეცესივი და 1 დომინანტი,  $1/16$ -ს კი ორივე რეცესივი ნიშანი.

9 ყვითელი გლუკი: 3 ყვ.დან: 3 მწვ.გლ: 1 მწვ.დან, ე.ი. ფენოტიპური დათიშვა შეფარდებით:  $9:3:3:1$ ,

ხოლო გენოტიპური დათიშვა იქნება შემდეგნაირი: 9 ნაწილს აქვს ოთხნაირი გენოტიპი:  $1AABB : 2AABb : 2AaBB : 4AaBb$ ; 3 ნაწილს აქვს ორნაირი გენოტიპი:  $1AAbb : 2Aabb : მეორე 3 ნაწილსაც ორნაირი გენოტიპი, 1$ -ს კი  $1 aaBB : 2aaBb$  და ერთს  $+ 1aabb$ .

მაშასადამე ფენოტიპური დათიშვაა  $9:3:3:1$ , ხოლო გენოტიპური:  $1:2:2:4:1:2:1:2:1$ .

ე.ი. 9 ნაწილს აქვს ორივე დომინანტური ნიშანი (ყვითელი გლუკი) 3 – პირველი დომინანტური და მეორე რეცესიული ნიშანი (ყვითელი დანაოჭებული) 3 პირველი რეცესიული ნიშანი, მეორე დომინანტური ნიშანი (მწვანე გლუკი) ორივე გენით რეცესიული ნიშანი (მწვანე დანაოჭებული) შეფარდება  $9:3:3:1$ . როგორც ვხედავთ დიპლოიდული შეჯვარების დროს

მთლიანად რჩება ძალაში მენდელის ორივე კანონი I – პირველი თაობის ერთგვაროვნების შესახებ და მეორე კანონი დათიშვის შესახებ. მართლაც ყვითელ თესლიანი მცენარეები თავის-სავე რეცესიული ნიშნის მქონე მწვანე მცენარესთან შეფარდებაა (9+3):(3+1) 124 ან 3:1; იგივე აღინიშნება გლუვი და დანაოჭებული თესლის მქონე მცენარეებთან შეფარდებაში. მენდელმა დიპიბრიდული შეჯვარების მეორე თაობის შედეგების ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბა III კანონი ნიშანთა დამოუკიდებელი დამეტკვიდრობის შესახებ.

მომწიფებულ სასქესო უჯრედში (გამეტაში) გენთა სრული ჰაპლოიდური ნაკრებია. ე.ი. ალელურ გენთა ყოველი წყვილიდან გამეტაში გადადის ერთ-ერთი მათგანი ან A, ან a. მაშასადამე გამეტების წარმოქმნისას ხდება გენთა თავისუფალი კომბინაცია.

მაგ. aaBB გენოტიპიდან წარმოქმნილ გამეტაში იქნება aB.  
AaBb კი – წარმოქმნის AB, Ab, aB, ab – გამეტებს.

რამდენი ტიპის გამეტებს წარმოქმნიან შემდეგი ორგანიზმები:

- 1) Aa – მონოჰიბრიდი?  და 
- 2) AaBB – დიპიბრიდი? AB, aB.
- 3) AaBBCc ტრიპიბრიდი ABC, ABc, aBC, aBc.

### ამოცანა

ადამიანში ახლომხედველობა (M) დომინირებს ნორმალურ მხედველობაზე. თაფლისფერი თვალები (B) ცისფერზე.

ახლომხედველ თაფლისფერთვალება მშობლების ერთა-დერთ შვილს აქვს ცისფერი თვალები და ნორმალური მხედველობა. დაადგინეთ ოჯახის სამივე წევრის გენოტიპი.

### **ამოცანა**

პამილორში ნაყოფის წითელი ფერის განმსაზღვრელი გენი (A) დომინირებს ნაყოფის ყვითელი შეფერილობის გენზე (a) ნაყოფის მრგვალი ფორმის განმსაზღვრული გენი B – დომინირებს მსხლისებრი ფორმის განმსაზღვრელ გენზე (b).

როგორი შთამომავლობა მიიღება თუ წითელ მრგვალ-ნაყოფიან დიკეტეროზიგოტულ (AaBb) ინდივიდს შევუჯვარებთ ყვითელ მსხლისებრ ნაყოფიან ინდივიდს?

### **ამოცანა**

ცისფერთვალა (a) მემარჯვნია (B) ქალი დაქორწინდა თაფლისფერთვალა (A) მემარჯვნია (B) მამაკაცზე, შეეძინათ 2 შვილი ერთი თაფლისფერთვალა ცაცია, მეორე ცისფერთვალა მემარჯვნია. გაარკვიეთ ამ ოჯახში კიდევ ცისფერთვალა ცაცია ბავშვის დაბადების ალბათობა?

### **ამოცანა**

მამას აქვს ხუჭუჭა თმები (დომინანტური ნიშანი) და არა აქვს ჭორფლი. დედას აქვს სწორი თმები და სახეზე ჭორფლი. ჭორფლი დომინანტი ნიშანია. ჰყავთ სამი შვილი ხუჭუჭა თმებითა და ჭორფლით. გამოარკვიეთ მშობლებისა და ყველა შვილის გენოტიპები.

### **ამოცანა**

ადამიანში თვალის თაფლისფერი შეფერილობა დომინირებს ცისფერზე. თმების შავი ფერი თმის ღია ფერის შეფერილობაზე (სხვადასხვა ნიშნის გენი სხვადასხვა პომოლოგიურ ქრომისომაშია). ცისფერთვალა შავთმიანი მამაკაცი დაქორწინდა თაფლისფერთვალება ღია თმების შეფერილობის მქონე ქალზე. შეეძინათ ოთხი შვილი, განსხვავებული ფენოტიპებით. გამოარკვიეთ მშობლების გენოტიპი.

## **ამონა**

რადგან ოთხივე შვილი ერთმანეთისაგან განსხვავდება ფენოტიპურად, მამას უნდა ჰქონდეს aaBb გენოტიპი, დედას – Aabb გენოტიპი.

## **ამოცანა**


შორტკორნის ჯიშის საქონლის ბეწვის დამეტკვიდრება შეალედური ტიპით ხდება: R გენი განაპირობებს წითელ ფერს, R<sup>1</sup> – თეთრს. RR<sup>1</sup> ჰეტეროზიგოტებს აქვთ ლურჯი ბეწვი. ამასთან ურქობა P დომინირებს რქიანობაზე (p).

- როგორი დათიშვაა მოსალოდნელი F<sub>1</sub> თაობაში, თუ ერთმანეთთან შევაჯვარებთ R R<sup>1</sup>P<sub>p</sub> გენოტიპების მქონე ინდივიდებს.
- ურქობის გენის მიმართ ჰეტეროზიგოტური ლურჯი ძროხა შეჯვარებულია. რქიან წითელ ხართან. როგორი ფენოტიპები ექნებათ მათ შთამომავლობას?
- რქიანი თეთრი ძროხა შეჯვარებულია ურქო წითელ ხართან, როგორი ფენოტიპი და გენოტიპი ექნებათ მათ შთამომავლობას?

## **ამოცანა**

ბუზ დროზოფილაში უთვალობა (eyeless) გადაეცემა მემკვიდრეობით როგორც რეცესიული ნიშანი. ფრთების ნორმალური აგებულება დომინანტურია ჩანასახოვანი (vestigial) ფრთების მიმართ. უთვალო ნორმალური ფრთების მიმართ ჰეტეროზიგოტური დროზოფილა შეუჯვარეს ჰეტეროზიგოტურ ნორმალურთვალიან და ჩანასახოვან ფრთიან დროზოფილას. განსაზღვრულ მათი შთამომავლების ფენოტიპი და გენოტიპი.

## ამონენა



## ამოცანა


შეუჯვარეს ორივე გენით ჰეტეროზიგოტური ბუზები. განსაზღვრეთ შთამომავლების ფენოტიპური დათიშვა.

$$\Phi \frac{E V g^+}{\bar{e} \bar{V} g} \times \sigma \frac{E V g^+}{\bar{e} \bar{V} g}$$

## ამოცანა

შეუბუმბლავფეხიანი ვარდისფერ ბიბილოიანი ჰომოზიგოტი ქათამი შეუჯვარეს ორივე ნიშის მიხედვით რეცესიულ მამალს. ვარდისფერ ბიბილოს განსაზღვრავს დომინანტ გენი R, შეუბუმბლავს f, შებუმბულს F, ფოთლისებურს r. რა ნაწილი იმებ-კვიდრებს დედის ორივე ნიშანს?

## **ამონა**



პირველი თაობის ყველა ინდივიდი იმემკვიდრებს დედის ნიშნებს.

## **ამონა**

წორბალში უფხოობა A დომინირებს ფხიანობაზე (a), ხოლო თავთავის წითელი შეფერვა B – თეთრზე b.

უფხო წითელთავთავიანი ჯიშის მცენარის ფხიან თეთრ-თავთავიანთან შეჯვარებისას მიიღეს  $\frac{1}{4}$  უფხო წითელთავთავიანი,  $\frac{1}{4}$  უფხო თეთრთავთავიანი,  $\frac{1}{4}$  ფხიანი წითელთავთავიანი,  $\frac{1}{4}$  ფხიანი თეთრთავთავიანი. განსაზღვრეთ მშობლების გენოტიპი.

## **ამონა**

როგორი შვილები შეეძინებათ მშობლებს, თუ ორივე არიან თაფლისფერთვალება მემარჯვნიები და ჰეტეროზიგოტები ორივე ნიშნის მიმართ?

## **ამონა**

ცისფერთვალა მემარჯვნია ქალი დაქორწინდა თაფლისფერთვალება ცაციაზე. როგორ შთამომავლობას უნდა მოველო-დეთ ამ ქორწინებიდან?

### **ამოცანა**

ჭვავში ნორმალური სიმაღლე დომინირებს გიგანტიზ-მზე, ადრე მწიფადობა გვიან მწიფადობაზე. ნიშნები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მემკვიდრეობს. ადრემწიფადი ნორმალური სიმაღლის ჭვავი შეუჯვარეს გვიან მწიფად გიგანტურს. ორივე მშობელი ჰომოზიგოტია. რომელ თაობაში და როგორი ალბა-თობით გამოვლინდება ადრემწიფადი და გიგანტიც ჰომოზიგოტური გენოტიპით.

### **ამოცანა**

ძალებში შავი შეფერილობა დომინირებს ყავისფერზე, მოკლე ბეწვი კი გრძელზე. ორივე წყვილი ნიშნის გენი სხვა-დასხვა ჰომოლოგიურ ქრომოსომაშია ლოკალიზებული. მონადი-რებ იყიდა შავი მოკლებეწვიანი ძალლი. როგორი ჰარტნიორი უნდა შეირჩეს შესაჯვარებლად, რათა გამოირკვას ამ ძალლის გენოტიპი არის თუ არა ის გენები, რომლებიც განაპირობებს ბეწვის სიგრძეს და ყავისფერ შეფერილობას.

### **ამოცანა**

პამიღორი, რომელსაც აქვს წითელი ორბუდიანი ნაყოფი შეუჯვარეს წითელ მრავალბუდიანი ნაყოფის მქონე მცენარეს. მიიღეს 9 წითელი მრავალბუდიანი, 2 ყვითელი ორბუდიანი. როგორი გენოტიპი აქვთ საწყის მცენარეებს. როგორ მცენა-რეებს უნდა მოველოდეთ ასეთი შეჯვარებიდან შემდეგ თაობაში.

### **ამოსენა**

Aabb

x

AaBb




**AABb; AAbb; AaBb; Aabb; AaBb; Aabb; aaBb; aabb**


## ამოცანა

ქმარი ცისფერთვალებაა და ცაცია. მისი მშობლები და მეუღლე – თაფლისფერთვალება და მემარჯვნია. მეუღლის დედა ცისფერთვალება და ცაცია. გენები, რომლებიც განაპირობებენ ამ ნიშან-თვისებების განვითარებას ლოკალიზებულია სხვადასხვა ჰომოლოგიურ ქრომოსომაში. როგორია ბავშვის დაბადების ალბათობა მამის ნიშან-თვისებებით?

## ამოცანა



25%-ს ექნება მამის მსგავსი გენოტიპი.



## ამოცანა

ძოწისფერყვავილებიანი ლემა, რომელსაც აქვს გლუკედ-ლებიანი ნაყოფი შეუჯვარეს თეთრყვავილა ეკლიან ნაყოფიან მცენარეს. მიიღეს 320 მცენარე ძოწისფერი ყვავილებითა და ეკლიანი ნაყოფით, 312 ძოწისფერყვავილიანი და გლუკეაყოფიანი. გამოარკვიეთ საწყისი მშობლების გენოტიპი.

### **ამოცანა**

თეთრი დისკოსებური ნაყოფის მქონე გოგრა შეუჯვარეს ყვითელ სფეროსებრ ნაყოფიან გოგრას. მიიღეს 22 თეთრი სფეროსებრ ნაყოფიანი, 28 ყვითელი დისკოსებრი, 25 თეთრი დისკოსებრი, 24 ყვითელი სფეროსებრი; დისკოსებური დომინანტობს სფეროსებურ ფორმაზე და თეთრი შეფერილობა ნაყოფის ყვითელ შეფერილობაზე. როგორი შეჯვარება უნდა ჩავატაროთ, რომ მივიღოთ თანაბარი რაოდენობით თეთრი დისკოსებური და ყვითელი სფეროსებრი?


### **ამოცანა**

ადამიანში კანის ფერი ძირითადად განპირობებულია ორი წყვილი არაალელური გენებით B და C. ადამიანებს, რომლებსაც აქვთ BBCC გენოტიპი აქვთ კანის შავი ფერი, ხოლო გენოტიპით bbcc – კანის თეთრი ფერი. ამ დომინანტ გენების სხვადასხვა შეთანაწყობის შემთხვევაში წარმოიქმნება კანის სხვადასხვანაირი პიგმენტაცია. ნებისმიერი სამი დომინანტი ალელი დეტერმინირებს მუქ კანს, ნებისმიერი ორი – შავგრემანს და ერთი – ღიას. შავგრემანი მამაკაცი დაქორწინდა თეთრკანიან ქალზე. შეეძინათ  $1/4$  შავგრემანი,  $1/4$  თეთრი,  $1/2$  ღიაკანიანი. გამოარკვიეთ მშობლებისა და შვილების გენოტიპი.

### **ამოცანა**

სურნელოვანი ბარდა, რომელსაც აქვს მწვანე დანაოჭებული თესლი და დიდი სიმაღლე შეუჯვარეს ქონდარა მწვანე მრგვალთესლიან ინდივიდს. შთამომავლობაში მიიღეს დათიშვა:  $3/4$  მაღალი, მწვანე მრგვალთესლიანი და  $1/4$  მაღალი ყვითელი მრგვალი თესლით. განსაზღვრეთ მშობლების და პირველი თაობის გენოტიპი.

## ამონიანი



## ამოცანა

AAbbDD' პიბრიდი შეუჯვარეს aaBbDD'. AD გენები დო-მინირებენ თავიანთ ალელებზე. D და D' გენების დამტკვიდრება შუალედური ტიპით ხდება. რამდენ და რა ტიპის გამეტებს წარმოქმნიან ეს პიბრიდები.

## ამონიანი



## ამოცანა

ბარდის თესლის ყვითელი ფერი (A) დომინირებს მწვა-ნებზე (a). თესლის გლუვი ფორმა (B) – დანაოჭებულზე (b). მარტივი ფორმის ჭოტაკი (C) ჭიმებიან ჭოტაკზე (c).

AaBbcc მცენარე შეუჯვარეს aabbCC მცენარეს. გან-საზღვრეთ ფენოტიპური დათიშვა პირველ თაობაში.


### **ამოცანა**

ჰეტეროზიგოტი  $AaBbCcDd$  შეაჯვარეს ჰომოზიგოტურ რეცესივთან  $aabbccdd$ . როგორი შთამომავლობა მიიღება პირ-ველ თაობაში და რამდენი სახის გამეტას მოგვცემს ჰეტეროზიგოტი ინდივიდი?

### **ამოქსნა**

$$P \quad ? \quad AaBbCcDd \quad \times \quad \sigma' \quad aabbccdd$$

გამეტები



### III თავი

## სქამის შემთხვევა მემკვიდრეობა

ცხოველთა და მცენარეთა ყოველი სახეობისათვის დამახასიათებელია ზუსტად გარკვეული ქრომოსომათა რაოდენობა (ქრომოსომების მუდმივობის კანონი). მაგ.: ბარდის სომატური უჯრედების ბირთვში 14 ქრომოსომაა, დროზოფილას უჯრედში – 8 ქრომოსომაა, ადამიანის სომატურ უჯრედში – 46 ქრომოსომაა. უჯრედის ბირთვში არსებული ქრომოსომები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზომით, აგებულებითა და გენთა ნაკრებით (ქრომოსომათა ინდივიდუალობის კანონი). სასქესო მომწიფებულ უჯრედში (გამეტაში) ქრომოსომათა სრული კომპლექტიდან თითო ქრომოსომაა. ასეთ კომპლექტს ჰაპლოიდური ეწოდება.

განაყოფიერების დროს კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის ჰაპლოიდური კომპლექტი ზიგოტაში ერთიანდება და წარმოიქმნება ქრომოსომათა და გენთა დიპლოიდურ კომპლექტი. დროზოფილას ჰაპლოიდური კომპლექტი შეიცავს 4 ინდივიდუალურად განსხვავებულ ქრომოსომას, დიპლოიდური კი 4 წყვილს, ადამიანის ჰაპლოიდური ნაკრები – 23 ქრომოსომას, დიპლოიდური – 23 წყვილს (46 ქრომოსომას).

ქრომოსომებს აქვთ თვითწარმოქმნის უნარი. ყოველი უჯრედული გაყოფის (მიტოზის) წინ ისინი ორმაგდებიან. ამ დროს ისინი შედგება 2 ერთმანეთის გვერდით მდებარე და ცენტრომერებით შეერთებული ქრომატიდებისაგან. მიტოზის დროს ყოველი ქრომოსომის ერთი ქრომატიდა ერთ შვილეულ უჯრედში მიემართება, მეორე კი – მეორეში, რის შედეგადაც ორივე შვილეული უჯრედი ღებულობს ქრომოსომების სრულ

დიპლოიდურ ნაკრებში მოთავსებულ გენებს. ზიგოტა, როგორც ვიცით, ქრომოსომების დიპლოიდურ კომპლექტს შეიცავს. ამ ზიგოტიდან მიტოზური გაყოფის გზით წარმოქმნილი ყველა უჯრედი შეიცავს ქრომოსომებისა და გენების დიპლოიდურ ნაკრებს. გამეტების ჩამოყალიბებისას მიმდინარეობს უჯრედული გაყოფა – მეიოზი, ჰომოლოგიური ქრომოსომები სხვადასხვა უჯრედებში მიემართებიან, რის გამოც მომწიფებული გამეტები (კვერცხუჯრედები და სპერმატოზოიდები) შეიცავენ ქრომოსომების ჰაპლოიდურ ნაკრებს.

რაც შეეხება სასქესო ქრომოსომებს მდედრში და მამრში ერთნაირი არ არის დანარჩენებს კი, რომლებიც მდედრშიც და მამრშიც ერთნაირია ეწოდება აუტოსომები. სასქესო ქრომოსომებთან არის დაკავშირებული სქესის დეტერმინაცია, რომელიც სხვადასხვა ორგანიზმში სხვადასხვაირად მიმდინარეობს.


ძუძუმწოვრებს და ადამიანის მდედრ ინდივიდებს აქვთ ერთი წყვილი სრულიად ჰომოლოგიური სასქესო ქრომოსომები, რომლებსაც X ქრომოსომები ეწოდებათ. მამრი ინდივიდები შეიცავენ ერთ X ქრომოსომას და არაჰომოლოგიურ Y ქრომოსომას. ასეთი ტიპის ორგანიზმებში გამეტების წარმოქმნის დროს მდედრები წარმოქმნიან ერთი ტიპის X ქრომოსომიან კვერცხუჯრედებს, მამრები კი ორი ტიპის სპერმატოზოიდებს X-იანი და Y-იანი ქრომოსომებით, მასასადმე დროზოფილას, ძუძუმწოვრებისა და ადამიანების მდედრობითი სქესი ჰომოგამეტურია, მამრობითი სქესი კი ჰაპლოიდურია.

## ამოცანები

### ამოცანა

დროზოფილაში თვალის წითელი ფერი განპირობებულია  $W^+$  გენით, ხოლო თეთრი ფერი – რეცესიული  $w$ . თვალის ფერის განმსაზღვრელი გენი  $X$ -ქრომოსომაშია ლოკალიზებული. წითელთვალა ჰომოზიგოტი მდედრი შეჯვარებულია თეთრთვალა მამრთან. რა ფერის თვალები ექნებათ პირველი და მეორე თაობის მდედრებსა და მამრებს?

### ამოცანა



1 ♀ წით.: 1 ♂ წით.:

2 ♀ წით.: 1 ♂ წით.: 1 ♂ თ.

ამ შემთხვევაში დაირღვა მენდელის II კანონი. მონოჰიბრიდული შეჯვარების  $F_2$  – დათიშვის კანონი (II კანონი) სა-დაც დათიშვა ხდება 3:1 – შეფარდებით. რადგან ამ შემთხვევაში შესასწავლი ნიშნის გენი  $X$  ქრომოსომაშია ლოკალიზებული.

### ამოცანა

მდედრ დროზოფილას აქვს ნორმალური სხეული და ჰეტეროზიგოტულია – მოკლე სხეულის მიმართ, შეჯვარებულია ჰემიზიგოტურ მოკლე სხეულის მქონე მამრთან. დავადგინოთ  $F_1$  თაობაში მიღებული მდედრებისა და მამრების ფენოტიპი. გენი ლოკალიზებულია  $X$ -ქრომოსომაში (ნორმალური სხეულის განსაზღვრული გენია  $S$  დიდი).

## ამონია

$$P \quad \text{♀} \quad \frac{S}{\bar{s}} \quad x \quad \sigma' \quad \frac{s}{>} \quad \text{მოკლ. სხ.}$$

გამეტები  

$$F_1 \quad \text{♀} \frac{S}{\bar{s}} \text{ ნორმ. სხ., } \sigma' \frac{s}{>} \text{ ნორმ. სხ., } \text{♀} \frac{s}{\bar{s}} \text{ მოკ, } \sigma' \frac{s}{>} \text{ მოკ.}$$

## ამოცანა

პლიმუტროგის ჯიშის ქათმებში ბუმბულის რუხი შეფერილობის P გენი ლოკალიზებულია Z ქრომოსომაში, მისი რეცესიული ალელი p იწვევს შავ შეფერილობას.

ჰომოზიგოტი რუხი მამალი შეჯვარებულია შავ დედალთან. დავადგინოთ  $F_1$  თაობის ფენოტიპი მამრებისა და მდედრებისათვის ცალ-ცალკე.

## ამონია

ქათმებში მდედრის სასქესო ქრომოსომებია ZW, მამრებში ZZ (მამრი ჰომოგამეტია).

$$P \quad \text{♀} \quad ZpW \quad x \quad \sigma' \quad ZPZP$$

გამეტები  

$$F \quad \begin{matrix} \text{რუხი} & \text{რუხი} \\ ZpZP\sigma' & ZPw\text{♀} \end{matrix}$$

მდედრიცა და მამრიც არის რუხები.


## ამოცანა

რუხი დედალი შეჯვარებულია შავ მამალთან. დავადგინოთ  $F_1$  თაობის ფენოტიპი მდედრებისა და მამრებისათვის ცალ-ცალკე.

## ამოცანა

ჰემოფილიის რეცესივი გენი (h) (სისხლის შეუდედებლობა) ლოკალიზებულია X ქრომოსომაში. გოგონა, რომლის მამა ჰემოფილიითაა დაავადებული და დედა ჯანმრთელია დაქორწინდა ჯანმრთელ ვაჟზე. როგორი შთამომავლობაა მოსალოდნელი ამ გოგონას შვილებსა და შვილიშვილებში, თუ ყველა მათგანი ჯანმრთელ ინდივიდებზე დაქორწინდებიან?

## ამოცანა



ჯანმრთელ გოგონას და ჯანმრთელ ვაჟს ერთი ქალი-შვილი ეყოლებათ ჯანმრთელი, 1 ჰემოფილიის გენის მატარებელი, ერთი ვაჟი ჯანმრთელი და ერთი ვაჟი ჰემოფილიით დაავადებული, მას ყველა ქალიშვილი ეყოლება ჰემოფილიის გენის მატარებელი, ვაჟიშვილები კი ჯანმრთელები. ჰემოფილიის გენის მატარებელ ქალიშვილს ყველა გოგონა ჯანმრთელები ეყოლება, ვაჟიშვილები კი დაავადებული.

## ამოცანა

მამა და ვაჟიშვილი დალტონიკები არიან. დედა ნორმალურად არჩევს ფერს. სწორი იქნება ვთქვათ, რომ ვაჟიშვილმა ეს ანომალია მამისაგან იმემკვიდრა?

## **ამონა**

არ იქნება სწორი, რადგან დალტონიზმის გენი X ქრომო-სომაშია ლოკალიზებული და ვაჟი მამისაგან იღებს მხოლოდ უქრომოსომას, ცხადია ვაჟიშვილს დედისაგან მოუღია ეს ანომა-ლია.

## **ამოცანა**

როგორი ტიპის გამეტებს წარმოქმნის ქალი, რომლის მა-მა დალტონიკი იყო?

## **ამოცანა**

დალტონიკი მამაკაცის ქალიშვილი დაქორწინდა დალტო-ნიკ მამაკაცის ვაჟზე. საცოლეც და საქმროც ნორმალურად არ-ჩევდნენ ფერებს, ე.რ. ფენოტიპურად ჯანმრთელები იყვნენ. რო-გორი მხედველობა ექნებათ მათ შვილებს?

## **ამოცანა**

ოჯახში სადაც მამა ჰემოფილიკია, ზოლო დედა ფენოტი-პურად ჯანმრთელია, შეიძლება თუ არა ვაჟიშვილი დაავადე-ბული იყოს ჰემოფილით?

## **ამონა**

შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დედა ამ ჰემოფილიის გენის მატარებელია.

## **ამოცანა**

საოფლე ჯირკვლების არ არსებობის რეცესიული გენი ლოკალიზებულია X ქრომოსომაში. ჯანმრთელი ვაჟი დაქორ-წინდა ქალზე, რომლის მამას არა აქვს საოფლე ჯირკვლები. როგორია ალბათობა იმისა, რომ მათ შეეძინოთ ამ დაავადების მატარებელი ქალი და ვაჟი?

### ამოცანა

როგორი ტიპის გამეტებს წარმოქმნის ნორმალური მხედველობის ქალი, რომლის მამა დაავადებული იყო დალტონიზმით?

### ამოცანა

ნორმალური მხედველობის მქონე მშობლებს ეყოლათ დალტონიკი შვილი. დაადგინეთ მშობლების გენოტიპები.


### ამოცსნა

დედის გენოტიპია  $\varphi \frac{D}{d}$ , ხოლო მამის  $\sigma' \frac{D}{>}$

### ამოცანა

როგორი შვილები შეიძლება შეეძინოთ ჰემოფილიით დაავადებულ მამაკაცს და დალტონიზმით დაავადებულ ქალს?

### ამოცსნა



ქალიშვილი ფენოტიპურად ჯანმრთელია, მაგრამ მატარებელია როგორც ჰემოფილიის ისე დალტონიზმის გენისა. ვაჟიშვილი დალტონიკია.

### ამოცანა

ნორმალური მხედველობის მქონე მშობლებს შეეძინათ დალტონიზმით დაავადებული შვილი. დაადგინეთ მშობლების გენოტიპი.

$$P \quad \varphi \quad \frac{D}{d} \quad x \quad \sigma \quad \frac{D}{>} \\ \textcircled{\underline{D}} \quad \textcircled{\underline{d}} \quad \quad \textcircled{\underline{D}} \quad \textcircled{>}$$

$\varphi \frac{D}{\bar{D}}$ ,  $\sigma \frac{D}{>}$ ,  $\varphi \frac{D}{d}$ ,  $\sigma \frac{d}{>}$   $\varphi$  1 ფჯან.; 1 ფმატ.; 1  $\sigma$ ჯან.; 1  $\sigma$ დალტ.

### ამოცანა

სისხლის შეუდედებლობის – ჰემოფილიის მიმართ ჯანმრთელ მშობლებს შეეძინათ ჰემოფილიით დაავადებული ვა-ჟიშვილი, რომელმა მშობელმა გადასცა შვილს ჰემოფილიის გენი?

### ამოცანა


ჰიპერტრიქოზი ანუ ყურის ნიუარის კიდეზე თმოვანი სა-ფარველი მემკვიდრეობით გადაეცემა, როგორც ჰოლანდრიული ნიშანი (გადაეცემა უ ქრომოსომით), ხოლო მრავალთითანობა (ექვსთითანობა) არის ღომინანტური აუტოსომური ნიშანი.

ოჯახში, სადაც მამას აქვს ჰიპერტრიქოზი, ხოლო დედას პოლიდაქტილია, დაიბადა ორივე ნიშნის მიხედვით ნორმალური გოგონა. როგორია ალბათობა იმისა, რომ ოჯახში შემდეგი ბავშვიც იქნება ასევე ორი ნიშნის მიხედვით ნორმალური?

### ამოცანა

ადამიანში ჰემოფილიის რეცესიული გენი (h) და ფერები-სადმი სიბრძავის გენი (d) ლოკალიზებულია X ქრომოსომაში. ზოგიერთი საგვარტომო ნუსხის მიხედვით მათ შორის მანძილი 9,8 მორგანიდია. უნდა დავადგინოთ რა ტიპის და რა რაოდე-ნობის გამეტებს წარმოქმნიან ჰიპერტრიქოზი, რომელთაც აქვთ შემდეგი გენოტიპები:

## ამონენა



## ამოცანა

მშობლებს, რომლებსაც II ჯგუფის სისხლი აქვთ, შეეძინათ ვაჟი სისხლის I ჯგუფით და ჰემოფილიის დაავადებით. მშობლებს სისხლის ნორმალური შედედება ახასიათებთ. გამოარკვიეთ მეორე ჯანმრთელი შვილის დაბადების აღბათობა.

## ამონენა

$$\begin{array}{cccccc}
 P & \varphi & X^H X^h I^A I^O & x & \sigma & X^H y I^A I^O \\
 \text{გამეტები:} & X^H I^A, X^H I^O & & X^H I^A, X^H I^O \\
 & X^h I^A, X^h I^O & & y I^A, y I^O
 \end{array}$$

## IV თავი

### გენთა შეჭიდულება

გენთა შეჭიდულება ეხება დიპიბრიდული შეჯვარების იმ შემთხვევებს, როდესაც სხვადასხვა ადელომორფული წყვილის გენები ლოკალიზებულია ერთსა და იმავე ქრომოსომაში. თუ A გენი Aa წყვილიდან და B გენი (Bb) წყვილიდან ერთ ქრომოსომაში არიან ლოკალიზებული, ისინი ერთად უნდა გადაეცნენ შთამომავლობას და ამ მოვლენას გენთა შეჭიდულება ეწოდება. გენთა შეჭიდულება დროზოფილაში პირველად შეისწავლა თომას მორგანმა. მან გენეტიკური მეთოდებით დაადგინა, რომ ქრომოსომებში გენები ხაზობრივად არიან განლაგებული (მორგანის კანონი გენთა ხაზობრივი განლაგების შესახებ), ხოლო მენდელმა, როგორც ვიცით დაადგინა დიპიბრიდული შეჯვარების დროს ნიშანთა დამოუკიდებელი კომბინირება (მენდელის III კანონი გენთა დამოუკიდებელი განაწილ შესახებ). ნიშნები დამოუკიდებლად კომბინირებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა ნიშნის გენი სხვადასხვა ჰომოლოგიურ ქრომოსომაშია ლოკალიზებული. გენთა შეჭიდულება ფართოდ გავრცელებული მოვლენაა და დროზოფილას აქვს გენთა შეჭიდულების 4 ჯგუფი და ყველა ამ ჯგუფის ფარგლებში გენების დამემკვიდრება შეჭიდულად ხდება. გენთა შეჭიდულების I ჯგუფის გენები ლოკალიზებულია X ქრომოსომაში, II ჯგუფი მსხვილი აუტოსომების II წყვილში, III ჯგუფის გენები ასევე მსხვილი აუტოსომების III წყვილში, IV ჯგუფის გენები კი მცირე აუტოსომებში – მიკროქრომოსომებში.

ქრომოსომების წყვილთა რაოდენობასა და შეჭიდულების ჯგუფის რიცხვს შორის შესაბამისობა აღმოჩენილია სხვა გენეტიკური ობიექტების შესწავლის დროსაც. მაშასადამე, გენთა შეჭიდულების ჯგუფების რიცხვი უდრის ქრომოსომათა წყვი-

ლების რიცხვს, მაგ.: ადამიანს უნდა პქონდეს 23 შეჭიდული ჯგუფი, დროზოფილას 4 შეჭიდული ჯგუფი.

A და B გენებს შორის შეჭიდულება სრულია იმ შემთხვევაში, თუ ეს ორი გენი ყოველთვის ერთად გადაეცემა. შეჭიდულების ერთ ჯგუფში შემავალი გენების სრული შეჭიდულება იშვიათად გვხვდება, რაც დადგენილია დროზოფილას მამრში და აძრეშუმის ჭიის მდედრებში.

როგორც ცნობილია გამეტები (სპერმატოზოიდები და კვერცხუჯრედები) წარმოიქმნება უჯრედული გაყოფის მეორზის დროს. მეორზის I გაყოფის პროფაზაში ყველა ქრომოსომა უკვე 2-2 ქრომატიდისაგან შედგება და ამ პერიოდში უკვე ჰომოლოგიური ქრომოსომები უახლოვდებიან ერთმანეთს და მთელ სიგრძეზე თითქოს ერთმანეთს შეეკვრებიან (ქრომოსომების კონიუგაცია). ამგვარად, წარმოქმნილი ქრომოსომების წყვილებს ბივალენტები ეწოდებათ, მაგრამ ამ ბივალენტებში თითოეული ქრომოსომა 2-2 ქრომატიდისაგან შედგება და ამიტომ მათ ტეტრადებს უწოდებენ. მაშასადამე დროზოფილაში 4 ბივალენტი წარმოიქმნება. ამის შემდეგ მიმდინარეობს გენოტიპური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროცესი – შესაძლებელია წყვილმა ქრომოსომებმა დაცილებისას ჰომოლოგიური უბნები გაცვალონ, ამ მოვლენას ქრომოსომათა გადაჯვარედინება ანუ კროსინგოვერი ეწოდება. I გაყოფის პროფაზის ბოლოს ყოველი ბივალენტის ქრომოსომებს შორის წარმოიშობა განზიდვის ძალები. ქრომოსომები სცილდებიან ერთმანეთს, პოლუსებისაკენ მიემართებიან და ზვდებიან სხვადასხვა უჯრედში. თითოეული ქრომოსომა ამ დროს 2-2 ქრომატიდისაგან შედგება.

ამის შემდეგ იწყება II მეორზური გაყოფა. ერთმანეთს სცილდებიან ქრომატიდები და გადადიან სხვადასხვა უჯრედებში. ამ უჯრედებში არის უკვე ქრომოსომების ჰაპლოიდური ნაკრები და ყოველი ქრომოსომა თითო ქრომატიდისაგან შედგება.

როდესაც A და B გენები ერთ ქრომოსომაშია ლოკალიზებული, ხოლო a და b გენები მის მეორე ჰომოლოგიურ ქრო-


მოსომაში და ამ ქრომოსომებს შორის თუ არ მოხდა კროსინ-გოვერი (გადაჯვარედინება), მაშინ ერთ გამეტაში მოხვდება ქრომოსომა AB გენებით, მეორეში კი ქრომოსომა ab გენებით. ესენი არაკროსოვერული გამეტებია. ხოლო იმ შემთხვევაში თუ A და B გენების შემცველი უბნების გაცვლა მოხდა – ერთ გამეტაში მოხვდება ქრომოსომა Ab გენებით, მეორეში ქრომო-სომა aB გენებით. ასეთ გამეტებს კროსოვერული გამეტები ეწოდებათ.

## ამოცანები

### ამოცანა

რამდენ და როგორი ტიპის არაკროსოვერულ და კროსო-ვერულ გამეტებს წარმოქმნის დიპეტეროზიგოტი ქალი, რომლის დომინანტური გენები A და B ერთ ქრომოსომაში იმყოფებიან, ხოლო მათი რეცესიული ალელები მეორე ჰომოლოგიურ ქრომოსომაში.

### ამოცანა



### ამოცანა

რამდენ და როგორი ტიპის არაკროსოვერული და კროსო-ვერულ გამეტებს წარმოქმნის დიპეტეროზიგოტი მამაკაცი, რომლის დომინანტური გენები ლოკალიზებულია ერთ ქრომო-სომაში, ხოლო რეცესიული ალელები – მეორე ჰომოლოგიურ ქრომოსომაში.

## ამონენა

$$\sigma' \quad \frac{AB}{ab}$$

$\underline{\text{AB}}$	$\underline{\text{ab}}$
-------------------------	-------------------------

მამაკაცებში არ ზღება კროსინგოვერი

## ამოცანა

მამრი და მდედრი დროზოფილები ჰქეტეროზიგოტები არიან A და P გენების მიმართ. ორივე დომინანტური გენი იმყოფება ერთ აუტოსომაში 12 მორგანიდის მანძილზე. კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის რამდენ პროცენტს ექნება ორივე დომინანტი გენი ერთ ქრომოსომაში?

## ამონენა

$$P \quad \varnothing \quad \frac{AP}{ap}$$

$$\underline{\text{AP}} \quad \underline{\text{ap}}$$

44%

არაკროსოვერები

$$\sigma' \quad \frac{AP}{ap}$$

$$\underline{\text{AP}} \quad \underline{\text{ap}}$$

12%

კროსოვერები

$$\frac{AP}{ap}$$

$$1:1 - 50\%:50\%$$


მამრ დროზოფილაში კრო-

სინგოვერი არ ზღება

## ამოცანა

ქალმა დედისაგან მიიღო აუტოსომური დომინანტი გენი Pat, რომელიც განაპირობებს მუხლის კვირისტავის დეფექტს სისხლის II ჯგუფის გენთან ერთად. მამისაგან მიიღო გენი pat, რომელიც მუხლის კვირისტავის ნორმალურ განვითარებას იწვევს და I ჯგუფის სისხლის გენი. ამ გენებს შორის მანძილი 10 მორგანიდია. ქალის ქმარს აქვს მუხლის ნორმალური კვირისტავი და I ჯგუფის სისხლი. დაადგინეთ დაბადების ალბა-თობა ისეთი ბავშვისა, რომელსაც ექნება მამის ნიშნები.

## ამონია



$F^I \quad \frac{Patl^A}{patl^0}; \quad \frac{patl^0}{Patl^0}$  არაკროსოვერები 45% მამის ნიშნებით  
 $\frac{Patl^0}{patl^0}; \quad \frac{patl^A}{Patl^0}$  კროსოვერები

## ამოცანა

თუთის აბრეშუმზვეგიაში A და D გენები მოთავსებულია ერთ ქრომოსომაში 8 მორგანიდის მანძილზე. გამოარკვიეთ როგორი სახის გამეტებსა და რა პროცენტული შეფარდებით წარმოქმნის მდედრი კვერცხუჯრედებს, რომლის გენოტიპია  $\frac{AD}{ad}$ .

## ამოცანა

C და B გენებს შორის კროსინგოვერი წარმოიქმნება 20% შემთხვევაში, D და F გენებს შორის კი 40%-ის შემთხვევაში. C და B გენები მოთავსებულია ერთ ქრომოსომაში. D და F გენები სხვა ქრომოსომაში როგორი ტიპის და როგორი პროცენტული დამოკიდებულებით წარმოექმნებათ გამეტები ამ ინდივიდს გენოტიპით  $\frac{CB}{cb} \quad \frac{DF}{dF}$ :

## ამოცანა

ჩაატარეს სამი შეჯვარება: დროზოფილას დიპეტეროზიგო-ტულ მდედრსა და მამრს შორის. მიღებულია შემდეგი შედეგები.

- AaBb გენოტიპის მქონე მდედრებში აღმოჩენილია რეკომბინაციების 6%.
- მდედრების  $M_nN_n$  შთამომავლობაში აღმოჩენილია რეკომბინაციის 0,5%.
- $P_pR_n$  მდედრების შთამომავლობაში აღმოჩენილია 25% რეკომბინაციები.


გამოარყიეთ A და B, M და N და P და R გენებს შორის მანძილი.

### ამოცანა

$$\text{ა) } \Psi \frac{AB}{ab} \times \sigma \frac{ab}{ab}$$



არაკროსოვერები



კროსოვერები




$$F_1 \quad \frac{AB}{ab} \quad \frac{ab}{ab} \quad \frac{AB}{ab} \quad \frac{aB}{ab}$$

$$\text{ბ) } \Psi \frac{MN}{mn} \times \sigma \frac{mn}{mn}$$



არაკროსოვერები



კროსოვერები



### პასუხისმგებელი:

- A და B გენებს შორის მანძილი 6 მორგანიდია,
- M და N-ს მანძილი 0,5 მორგანიდია
- $p_p$  და  $R_2$ -ს შორის მანძილი 25 მორგანიდია.

## ამოცანა

დროზოფილაში სხეულის რუხი ფერის განმსაზღვრელი გენია B და გრძელი ფრთების განმსაზღვრელი V, ხოლო რეცესივი გენები b და v განაპირობებენ სხეულის შავ ფერსა და მოკლე ფრთებს. ეს გენები ლოკალიზებულია ერთ წყვილ აუტოსომაში და ამ გენებს შორის მანძილი 17 მორგანიდია.

შეაჯვარეს ორი ბუზი, მდედრ დროზოფილას ერთ ქრომოსომაში ჰქონდათ ორივე დომინანტი გენი რუხი გრძელ BV და მეორე ქრომოსომაში ორივე რეცესივი: შავი, მოკლე bv გამოარკვიეთ შთამომავლობაში მშობლებისაგან ფენოტიპურად განსხვავებული შთამომავლების ალბათობა თუ მამრი დროზოფილა რეცესივი ნიშნების მატარებელია.

## ამოცანა

დიპეტეროზიგოტი მდედრი დროზოფილა  $\frac{BV}{bv}$  მეიოზის პროცესში წარმოქმნის 4-სახის გამეტას, რადგან მეიოზის პროცესში ხდება კროსინგოვერი. ცნობილია ამასთან, რომ ამ გენებს შორის მანძილი 17 – მორგანიდია. აქედან გასაგებია, რომ მდედრ-დროზოფილა წარმოქმნის არაკროსინგოვერულ ანუ დედისეულ გამეტებს BV და bv 83%-ს, კროსინგოვერულ გამეტას BV და bv 17%-ს. მამრი წარმოქმნის მხოლოდ ერთი სახის გამეტას, რადგან მამრ დროზოფილაში კროსინგოვერი არ ხდება და რომც ხდებოდეს ჰომოზიგოტი და ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ერთი სახის გამეტას წარმოქმნიდა.

მდედრი დროზოფილა არის რუხი გრძელ ფრთანი, მამრი შავი ჩანასახოვანი (მოკლე) ფრთიანი.

$\Omega$     $\frac{BV}{bv}$    x    $\sigma'$     $\frac{bv}{bv}$   
 გამეტები           

არაკრისოვერტები   კრისოვერული   გამეტები  
 ახალი   კომბინაციები (შშობლიური   გამეტა)

**F<sub>1</sub>**    $\frac{BV}{bv}$     $\frac{bv}{bv}$     $\frac{Bv}{bV}$     $\frac{bV}{bv}$   
 83%      17%  
 არაკროს.      კროს.

## V 0180

### არაალელურ გენთა ურთიერთქმედებაში ის შემთხვევებია

არაალელურ გენთა ურთიერთქმედებაში ის შემთხვევებია აღსანიშნავი, როდესაც ნიშნების განვითარება განპირობებულია ორი ან მეტი წყვილი გენის ურთიერთმოქმედებით. არჩევინ არაალელურ გენთა ურთიერთქმედების ოთხ ძირითად ტიპს: კომპლემენტარობა, ეპისტაზი, პოლიმერია, პლეიოფრობა.

ეპისტაზის დროს ერთი ალელური წყვილი დომინანტი გენი თრგუნავს მეორე არაალელური წყვილი დომინანტური გენის მოქმედებას. ამ დროს დამთრგუნველ გენს ეწოდება ეპისტატიკური, ხოლო რომელიც ითრგუნება ჰიპოსტატიკური. მაგ.: ქათმებში დომინანტური C გენი განაპირობებს შეფერილი ბუმბულის განვითარებას, ხოლო მისი c ალელი – თეთრი ბუმბულის განვითარებას. თეთრი ლენპორნის ჯიშის ქათმებში არ-სებობს ეპისტატიკური გენი I, რომელიც ახშობს C ჰიგმენტის გენის მოქმედებას. ამიტომ თეთრბუმბულიან ქათმებს შეუძლიათ ჰქონდეთ სხვადასხვა გენოტიპი. მაგ.: ალბინოსებში (iicc) – ჰიგმენტი არ ვითარდება, რადგან მათ არა აქვთ ჰიგმენტის გენი C, ხოლო თეთრ ლენპორნის (IICC) მიუხედავად იმისა, რომ ჰიგმენტაციის გენი C აქვთ, მას ეპისტატიკურად ახშობს I გენი და ამიტომ ბუმბული თეთრი შეფერილობის აქვთ. ამიტომ ერთი და იგივე ფენოტიპის განმაპირობებელი შეიძლება იყოს სხვადასხვა გენოტიპი.

## ამოცანები

### ამოცანა

თეთრი დიპეტერეზიგოტი ლეგპორნი (CcIi) შეუჯვარეს თეთრ ვიანდოტს (iiCC)


### ამოცანა

P ♀ C<sub>c</sub>I<sub>I</sub> x σ' ccii



F<sub>1</sub> C<sub>c</sub>I<sub>i</sub>; C<sub>c</sub>ii; c<sub>c</sub>I<sub>i</sub>; ccii 3 თ. : 1 გ.


სუპრესიის მოვლენის დროს გენს, რომელიც თრგუნავს არაალელური გენის მოქმედებას სუპრესორი ეწოდება. იმ შემთხვევაში, როდესაც დამთრგუნველი გენი დომინანტურია ვლინდება ეპისტაზის მოვლენა, და გენს რომელიც თრგუნავს ეპისტატიკურს უწოდებენ, ხოლო რომელიც ითრგუნება – ჰიპოსტატიკურს. იმ შემთხვევაში, თუ დამთრგუნველი გენი რეცესივია, ამ მოვლენას კრიპტომერია ეწოდება. ეს მოვლენა შესწავლილია თაგვებში. შევი თაგვი შეუჯვარეს თეთრს.



$F_2$  თაობაში 9 აგუტი : 3 შავი : 4 თეთრი. ასე იმიტომ ხდება, რომ AAcc, Aacc და aacc ფენოტიპურად ერთმანეთისაგან ვერ გავარჩევთ და ამიტომ ფენოტიპურად ერთ ჯგუფში ერთიანდება. მენდელისეული დიჰიბრიდული შეჯვარების მეორე თაობაში დათიშვის შეფარდების დარღვევა გამოწვეულია ც გენის ეპისტატიკურობის გამო. ე.ი. C პიგმენტის გენია, ც – თრგუნავს, A – პიგმენტის ზონალურად გამანაწილებელია და ამიტომ სადაც A გენია, ყველა არის აგუტი.

### ამოცანა

ორი შეუფერავბოლქვიანი რასის ხახვის ინდივიდები შეუჯვარეს ერთმანეთს.  $F_1$  თაობაში ყველა ინდივიდი შეუფერავბოლქვიანი იყო.  $F_2$  თაობაში 13 ნაწილს აღმოაჩნდა შეუფერავი ბოლქვები, 3 ნაწილს კი შეფერილი. შედევების ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ ორი შესაჯვარებელი რასიდან ერთერთს ჰქონდა შეფერილობის გენი, მაგრამ მის გენოტიპში იმყოფებოდა მისი დამთრგუნველი გენი, რის გამოც ფენოტიპურად უფერული იყო. რომ თვალსაჩინო გახდეს აღნიშნული, გამოვიყენოთ სამბოლური აღნიშვნები. C – შეფერილობის გენია, ც – ფერს არ ავითარებს, S – სუპრესორი ანუ დამთრგუნველია, s – არ არის სუპრესორი. აქედან ცხადი ხდება, რომ ხახვის ერთ-ერთ რასას გენოტიპში აქვს სუპრესორი S გენი.



$F_1 \quad C_cS_s$


პირველი თაობის ყველა ინდივიდი იმიტომ არის შეუფერავი, რომ  $F_1$  თაობის ყველა ინდივიდის გენოტიპში შეფერილობის გენთან ერთად აქვს დამთრგუნველი გენი. მეორე თაობა-

ში, მხოლოდ 3 ნაწილს აღმოაჩნდა შეფერილი ბოლქვები, რომ-ლებსაც პქონდათ შემდეგი ტიპის გენოტიპები 1CCss; 2Ccss. რადგან მათ გენოტიპში მხოლოდ შეფერილობის გენი C-ა.

### ამოცანა

თეთრბალნიანი ძაღლი შეუჯვარეს ყავისფერბალნიანს. პირველ თაობაში ყველა ძაღლის პქონდა თეთრი ბალანი. მეორე თაობაში 12 ნაწ. აღმოაჩნდა თეთრი შეფერილობის ბეწვი, 3-ს შავი და 1-ს – ყავისფერი. შედეგებიდან ცხადია, რომ თეთრ-ბალნიანი ძაღლი შეფერილობის გენთან ერთად (C) ატარებს დამთრგუნველ გენსაც S და მათი თეთრი შეფერილობა გენოტიპში დამთრგუნველი გენითაა განპირობებული.

თეთრი ყავისფ.  
 $\varphi \text{ CCSS} \times \sigma^c \text{ ccss}$   
 გამეტები  $(\underline{\text{CS}})$   $(\underline{\text{cs}})$   
 $F_1 \quad \text{CcSs}$  თეთრი



1CCSS:2CCSs:2CcSS:4CcSs:1CCss:2Ccss:1ccSS:2ccSc:1ccss

$F_2$  12/16 თეთრი : 3/16 შავი : 1/16 ყავისფერი

ეპისტაზის მოვლენა შესწავლილია ცხენებშიც, სადაც ისეთივე შეფარდებაა მიღებული, როგორც ძაღლებში.

## **ამოცანა**



რუხი ცხენი შეუჯვარეს წითურს. პირველ თაობაში მიიღეს ყველა რუხი ფერის ცხენი. მეორე თაობაში – 12 რუხი : 3 შავი : 1 წითური. ე. ი. ცხენის რუხ ფერს განაპირობებს მის გენოტიპში არსებული შავი ფერის განმსაზღვრელი გენის დამთრგუნველი S გენი.

## **არაალელურ გენოა პროალემენტარული მოქმედება**

პირველად არაალელურ გენთა კომპლექტარული მოქმედება აღმოაჩინეს ბეტსონმა და პენეტმა ქათმებზე. ქათმებში ცნობილია 4 სახის ბიბილო: კაკლისებრი, ვარდისებრი, ცერცვისებრი, ფოთლისებრი ანუ მარტივი.

როდესაც ვარდისებრბიბილოიანი შეუჯვარეს ცერცვისებრ-ბიბილოიანს, პირველ თაობაში მიიღეს კაკლისებრი ბიბილოიანი, ხოლო მეორე თაობაში აღმოჩნდა 4 სახის ბიბილოიანი სხვა-დასხვა რიცხობრივი შეფარდებით. მაგ.: 9 ნაწილს აღმოაჩნდა კაკლისებრი, 3 ნაწილს ვარდისებრი, 3 ნაწილს – ცერცვისე-ბრი, 1 ნაწილს – ფოთლისებრი, ე.ი. დათიშვის შეფარდება იყო 9:3:3:1. შედეგების გაანალიზების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ორი არაალელური დომინანტ გენის მოქმედება ურთიერთს ემა-ტება და ახალ ნიშანს ივითარებს (კაკლისებრის).

ვარდისებრბიბილოიანი მდედრი შეუჯვარეს მამრ ცერცვი-სებრბიბილოიანს.



## ამოცანები

### ამოცანა

სურნელოვანი ბარდის ორი თეთრი რასის ურთიერთშეჯვარებისას 1 თაობაში ყველა ჰიბრიდს (პირველი თაობის ყველა ინდივიდს) აღმოაჩნდა ძოწისფერი ყვავილები. მეორე ( $F_2$ ) თაობაში მოხდა დათიშვა 9:7 შეფარდებით, სადაც 9 ნაწილს აღმოაჩნდა ძოწისფერი 7-ს კი თეთრი.

მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცალ-ცალკე არც ერთ დომინანტ გენს არ შეუძლია შეფერილობის განვითარება. დადგინდა, რომ სურნელოვან ბარდაში არის A გენი, რომელიც განაპირობებს პიგმენტის წინამორბედის განვითარებას. B-გენი კი განსაზღვრავს იმ ფერმენტის სინთეზს,

რომლის ზემოქმედებითაც პროპიგმენტიდან წარმოიქმნება პიგ-მენტი, სურნელოვანი ბარდის ამ რასებს, რომლებსაც გააჩნიათ aaBB, AAbb გენოტიპები თეთრ ყვავილებს ივითარებენ. რასას, რომელსაც აქვს aaBB გენოტიპი აქვს ფერმენტი, მაგრამ არა აქვს პროპიგმენტი, ხოლო რასას, რომელსაც აქვს AAAbb გენოტიპი, აქვს პროპიგმენტი, მაგრამ არა აქვს ფერმენტი, რომელიც პროპიგმენტს გადააქცევს პიგმენტად. ახლა გასაგებია თუ პირველ თაობას, რომელსაც ორივე დომინანტ გენი აქვს (AB), რატომ არის ძოწისფერი.

გენთა კომპლემენტური მოქმედება შესწავლილია ადამიან-შიც. როდესაც I ჯგუფის სისხლის მქონე ქალი ( $I^0I^0$ ) დაქორ-წინდა II ჯგუფის სისხლის მქონე მამაკაცზე  $I^AI^A$ . მათ შვილს აღმოაჩნდათ II ჯგუფის სისხლი და ფრჩხილებისა და მუხლის კვირისტავის დეფექტის სინდრომი. ანალიზის საფუძველზე დასკვნეს, რომ ამ სინდრომის მატარებელი უნდა ყოფილიყო ბავშვის დედა და მისი გენოტიპი იქნებოდა  $I^0I^0BB$ , ხოლო მა-მის გენოტიპი უნდა ყოფილიყო  $I^AI^Ab$  შვილს შესაბამისად უნდა ჰქონოდა  $I^AI^0Bb$  გენოტიპური სტრუქტურა და მაშინ მუხლის კვირისტავის დეფექტის სინდრომი დამოკიდებული იქნებოდა A და B გენების მოქმედებაზე. მაშასადამე გენთა კომპლემენტარულ ანუ დამატებით მოქმედებას მიეკუთვნება ისეთი არაალელურ გენთა მოქმედება, რომლებიც ერთობლივი მოქმედების დროს ახალი ნიშანის განვითარებას იწვევენ, ხოლო ცალ-ცალკე კი მათოვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოქმნიან.

## არაალელურ გენოა პოლიმერული მოქმედება

პოლიმერია ისეთი მოვლენაა, როდესაც რამდენიმე არაალელური დომინანტი გენი ერთდროულად მოქმედებს ერთ ნიშანზე ერთი მიმართულებით. ასეთ გენებს პოლიმერული გენები ეწოდებათ, ხოლო მოვლენას პოლიმერია. პოლიმერია ორი სახისაა:

რაოდენობრივ ნიშნებზე მოქმედი გენები, რომლებსაც კუმულაციურად მოქმედი გენები ეწოდებათ, რადგან გენოტიპში რაც უფრო მეტია დომინანტი გენი, მით უფრო მკვეთრად ვლინდება ნიშანი, ე.ი. ხდება მათი მოქმედების დაჯამება ანუ კუმულაცია.

თვისობრივ ნიშნებზე მოქმედი პოლიმერული გენები. ასეთ შემთხვევაში თითოეული გენი ძლიერი მოქმედებისაა და საკმარისია გენოტიპში ერთი დომინანტი გენიც კი იყოს, რომ ნიშანი სრულყოფილად გამოვლინდეს. ამიტომ ამ გენებს აკუმულაციური გენები ეწოდებათ.

ეს მოვლენა პირველად აღმოაჩინა და შეისწავლა ნილ-სონ-ელემ 1908 წელს, ხორბლებში.

### ამოცანები

#### ამოცანა

არაალელურ გენების ურთიერთლოკალიზაციის რომელი ფორმის დროს ხორციელდება მენდელის III კანონი – გენთა დამოუკიდებელი განაწილების კანონი?

#### ამოცანა

არაალელური გენების ურთიერთლოკალიზაციის რომელი ფორმის დროს ხორციელდება მორგანის შეჭიდულების კანონი?

ნილსონ-ელემ შეაჯვარა მუქი წითელთესლიანი ხორბალი თეთროთესლიან ხორბალთან და მიიღო ასეთი სურათი: (F<sub>1</sub>) პირველი თაობის პიბრიდებს ჰქონდათ საშუალო შეფერილობა, (F<sub>2</sub>) მეორე თაობაში წარმოიქმნა 5 ფენოტიპური კლასი შეფარდებით: 1:4:6:4:1 აქვდან 15 ნაწილს გარდამავალი წითელი ელფერი ჰქონდა, ხოლო ერთ ნაწილს კი თეთრი, ამ ტიპის გენებს ეწოდათ პოლიმერული გენები, რადგან ისინი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ერთსა და იმავე ნიშანს ერთი მიმართულებით.

ფენოტიპის მიხედვით 15 ნაწილიდან ერთ ნაწილს ჰქონდა მუქი წითელი შეფერილობა, 4 ნაწილს შედარებით ბაცი წითელი ფერის მარცვლები, 6 ნაწილს უფრო ბაცი წითელი ფერის მარცვლები, 4 ნაწილს კი ვარდისფერი შეფერილობის მარცვლები.

ნილსონ-ელემ მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ რაოდენობრივ ნიშნებზე მოქმედი დომინანტი პოლიმერული გენები ცალ-ცალკე სუსტი მოქმედებით გამოირჩევიან, ე.ი. რაც უფრო მეტია ინდივიდის გენოტიპში დომინანტი გენი, ნიშანი მით უფრო მკვეთრად ვლინდება ფენოტიპურად (მუქი წითელი (A<sub>1</sub>A<sub>1</sub>A<sub>2</sub>A<sub>2</sub>)), ხოლო რაც უფრო მცირე რაოდენობითაა გენოტიპი დომინანტი გენი, ნიშანი მით უფრო სუსტად ვლინდება (A<sub>1</sub>a<sub>2</sub>a<sub>1</sub>a<sub>1</sub>) ვარდისფერი.

პოლიმერია შესწავლილია ადამიანშიც – პოლიმერულ ნიშანს წარმოადგენს სიმაღლე, ნიჭიერება, კანის ფერი, თითებზე ნახატობა.

დაუშვათ რომ სიმაღლეს განაპირობებს 3 წყვილი დომინანტი გენი. ინდივიდს, რომელსაც აქვს a<sub>1</sub> a<sub>1</sub> a<sub>2</sub> a<sub>2</sub> a<sub>3</sub> a<sub>3</sub> გენოტიპი, მისი სიმაღლე 150 სმ-ია. ერთი დომინანტი გენის არსებობისას ადამიანი 155 სმ-ის სიმაღლის ნდება, ხოლო ინდივიდს, რომელსაც სამივე წყვილი დომინანტი გენი აქვს გენოტიპში 180 სმ სიმაღლის იქნება. თუ ერთ მშობელს აქვს სამივე რეცესივი გენი a<sub>1</sub> a<sub>1</sub> a<sub>2</sub> a<sub>2</sub> a<sub>3</sub> a<sub>3</sub>, ხოლო მეორეს კი სამივე დომი-

ნანტი A<sub>1</sub> A<sub>1</sub> A<sub>2</sub> A<sub>2</sub> A<sub>3</sub> A<sub>3</sub>, მათ შვილებს ექნებათ A<sub>1</sub> a<sub>1</sub> A<sub>2</sub> a<sub>2</sub> A<sub>3</sub> a<sub>3</sub>, გენოტიპი და 165 სმ სიმაღლე.

ასეთი სახის განაწილება დამახასიათებელია ადამიანში ნიშის მიმართაც. ნორმალურ ადამიანთა შორის ძირითადად გხხვდებან საშუალო ნიშის ადამიანები, სულელები და გენი-ოსები კი იშვიათია.

პოლიმერული გენებით განისაზღვრება ადამიანის კანის ფერის მემკვიდრულობაც, თითებზე არსებული ნახაზებიც, რო-მელიც მკვეთრად დეტერმინირებულ ინდივიდუალურ ნიშანს წარმოადგენს. ამ ნიშნის შემსწავლელ მეცნიერების განხრას ეწოდება დერმატოგლიფიკა. ოჯახში თითების ნახაზთა კორე-ლაციური ანალიზის ჩატარების დროს აღმოჩნდა, რომ მოცე-მული ნიშნის თაობებში გადაცემა პოლიმერული მემკვიდრულო-ბის კანონზომიერებებს ექვემდებარება, თითების ნახაზების პო-ლიმერული მემკვიდრეობითობა იმდენად რთულია, რომ ყველა ადამიანის თითების ნახატობა გენეტიკურად უნიკალურია და სხვა ადამიანში არ მეორდება. მაშასადამე, რაოდენობრივ ნიშ-ნებზე მოქმედი პოლიმერული გენები წარმოქმნიან განსაკუთრე-ბულ გენურ კომპლექსს, რომელსაც პოლიგენური სისტემა ეწოდება.

ასეთ სისტემაში ცალკეული გენის წვლილი ძალზე სუს-ტია, იმისათვის, რომ მან რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა მოახ-დინოს ფენოტიპზე, მაგრამ მათი ერთობლივი მოქმედება განუ-წყვეტელი ცვალებადობის საფუძველს ქმნის.

ამრიგად, რაოდენობრივ ნიშნებზე პოლიმერული გენების მოქმედების შედეგად ადგილი აქვს ნიშნის განუწყვეტელ ცვა-ლებადობას და იმასაც, რომ გენოტიპში დომინანტი გენის რაოდენობა განსაზღვრავს ნიშნის სუსტ ან ძლიერ ფენოტიპურ გამოვლინებას.

ამის საფუძველზე ცვალებადობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ვარიაბელური გენოტიპის კუმულაციული ეფექტი. რაც შეეხება ისეთ წმინდა ადამიანურ თვისებებს, როგორიცაა

ინდივიდუალობა, ტემპერამენტი და ინტელექტი, თუ არსებული მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოდის რომ აღნიშნული თვისებები დამოკიდებულია როგორც მემკვიდრულ, ისე გარემო ფაქტორებზე, რომელშიც იზრდება და ყალიბდება ადამიანი, მაგრამ გარემო ვერასოდეს ვერ შეძლებს ფენოტიპი გამოიყვანოს გენოტიპით დეტერმინირებული ფარგლებიდან.

თვისობრივ ნიშნებზე მოქმედი პოლიმერული გენების მოქმედება შეისწავლეს მცენარე მწყემსის ჩანთაზე (*Capsela burza*), როდესაც სამკუთხა ჭოტაკის მქონე ინდივიდი შეუჯვარეს ოვალური ჭოტაკის მქონე მცენარეს, პირველ თაობაში ყველა ინდივიდი სამკუთხა ჭოტაკის მატარებელი იყო. მეორე თაობაში კი 15:1. ე.ი. 15 ნაწილს ჰქონდა  $\Delta$  ჭოტაკი, ხოლო 1 ნაწილს ( $\bigcirc$  (ოვალური)).

$\Delta$  სამკუთხ. ჭოტაკ.      0 თვალ.

$\varnothing$   $A_1A_1A_2A_2$       x       $\sigma'$   $a_1a_1a_2a_2$

$A_1A_2$

$a_1a_2$

$F_1$   $A_1a_1A_2a_2 -$  ყველა სამკუთხა ჭოტ.


ე.ი. ამ შემთხვევაში თითოეულ გენს აქვს ძლიერი ანუ არაკუმულაციური მოქმედება.

## გენის ალეიტოტროპული გონიერებები

გენის პლეიოტროპულ მოქმედებას ვერ გავაერთიანებთ არაალელურ გენთა ურთიერთქმედების ჯგუფში, რადგან არაა-ლელურ გენთა ურთიერთქმედებისას მოქმედებს 2 ან მეტი გენი და ერთ შემთხვევაში ერთი არაალელური დომინანტი თრგუნავს მეორე არაალელური გენის მოქმედებას (ეპისტაზი), ხოლო გე-

ნის კომპლექსური მოქმედების შემთხვევაში ერთი არა-ალელური გენის მოქმედებას ეძატება მეორე არაალელურის მოქმედება და სრულიად ახალი ნიშნის განვითარებას იწყებს.


გენის პლეიოტროპული მოქმედების შემთხვევაში კი სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. ერთი და იგივე გენი ერთ ნიშანზე მოქმედებს როგორც დომინანტი და იმავე ორგანიზმის სხვა ნი-შანზე როგორც რეცესივი. ამიტომ გენის პლეიოტროპული მოქ-მედება ცალკე დგას. მაგ.: ყარაფულის ჯიშის ცხვრებში ეს მოვლენა პირველად იქნა აღმოჩენილი. არსებობს ყარაფულის 2 ჯიში: ნაცარა და შავბეწვიანი ცხვრები. დიდი მოთხოვნილება იყო ნაცარებზე. ამიტომ გენეტიკოსებმა გადაწყვიტეს გამოევა-ნათ წმინდა ნაცრისფერმატყლიანი ჯიშის ცხვრები. რისთვისაც ერთმანეთს შეუჯვარეს ნაცარები, მაგრამ ყოველთვის პირველ-სავე თაობაში ღებულობდნენ დათიშვას 2:1 შეფარდებით, სადაც 2 ნაწილი იყო ნაცარა, 1 ნაწილი კი შავი. შედეგი ამტკიცებდა, რომ ნაცარები იყვნენ ჰეტეროზიგოტები, ხოლო უჩვეულო და-თიშვის მიზეზად მათი დასკვნით, ნაცრისფერი მატყლის განმ-საზღვრელ დომინანტ გენს უნდა ჰქონოდა ლეთალური რეცე-სიული მოქმედება, რომელიც ამ დომინანტი გენის პომოზიგოტ-ში გადასვლის დროს ვლინდებოდა.



ასეთივე შედეგები მიღებულია ვერცხლისფერ მელიგბზეც. როდესაც ორი ვერცხლისფერი მელია შეუჯვარეს ერთმანეთს, პირველსაგვე თაობაში მოხდა დათიშვა: 2 ვერცხ. : 1 შავი.

იმისათვის რომ ზარალი თავიდან იქნეს აცილებული გენეტიკოსებმა გადაწყვიტეს, ნაცარა ცხვრები შეეჯვარებინათ შავბეწვიანი ცხვრებისათვის, რომლის დროსაც მიიღეს დათიშვა: 1:1 ანუ 50% ნაცარა : 50% შავი. ასევე მოიქცნენ მელიების შემთხვევაში. ვერცხლისფერი მელიები შეუჯვარეს შავ მელიებს და მიიღეს დათიშვა 1:1 შეფარდებით ანუ 50% : 50%.

ამ შემთხვევაშიც როგორც ცხვრებში ვერცხლისფერის გამსაზღვრელ დომინანტ გენს აგრეთვე ლეთალური რეცესიული მოქმედება აქვს და როცა ეს დომინატი გენი ჰომოზიგოტშია, მაშინ მისი რეცესიული მოქმედებაც ჰომოზიგოტში გადადის და ფენოტიპურად ვლინდება ცხოველმყოფელობაზე და ასეთი გენოტიპის მქონე ინდივიდი იღუპება. ყველა ნაცარა ცხვარი და ვერცხლისფერი მელიაც (რომლებიც ცოცხლებია) გენოტიპურად ჰეტეროზიგოტები არიან.



ვერცხ. Aa : aa შავი  
50% : 50%


გენის პლეიოტროპული მოქმედება აღმოჩენილია ადამიანშიც. ა.მ. ადამიანში ნამგლისებრუჯრედული ანგმიის შემთხვევაში იცვლება ჰემოგლობინის სტრუქტურა. ამის გამო ერითროციტები იღებს ნამგლისებრ ფორმას, ირლვევა O<sub>2</sub> ტრანსპორტირება, გულისა და ტვინის ფუნქციები. ასეთ დარღვევას განაპირობებს მუტანტური რეცესიული ალელი, რომელიც ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში იწვევს ახალშობილის სიკვდილს. ჰეტეროზიგოტულ მდგომარეობაში ამ გენოტიპის მატარებელ ადამიანს სძენს მდგრადობას ტროპიკული მაღარის მიმართ.

ამოცანები

სამცხე

ჰოსტელის მდგრადი განვითარების დარღვევა) დამოკიდებულია დომინანტურ გენზე, რომელიც სრულიად პე-ნეტრანტულია. ამ გენის მიმართ ჰომოზიგოტები იღუპებიან და-ბადებამდე. მშობლები დააგადებული არიან ჰოსტელის განვითარების დაბადების აღიანველების განვითარების დარღვევა.

Տառեսնա



ამონი

ბრაქიდაქტილის (მოკლე და მსხვილი თითები) მაღლეტერ-მინირებელი B გენი ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში იწვევს ინ-დივიდის სიკვდილს. ჰეტეროზიგოტები სიცოცხლისუნარიანია. განსაზღვრეთ სიცოცხლისუნარიანი შვილების რაოდენობა (პრო-ცენტებში), რომელთა მშობლები ჰეტეროზიგოტულებია ამ ნი-შან-თვის სებებით.

## VI თავი

მემკვიდრულობის პიმიური საფუძვლები.

### გენის ცხების ეპოლუცია

ცალკეული ცნობები ნიშნების მემკვიდრეობის შესახებ ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ იყო ცნობილი, მაგრამ მათი გადაცემის შესახებ პირველად მოსაზრება გამოთქმული იყო გ. მენდელის მიერ. გ. მენდელმა 1865 წ. ჩაატარა ცდები პიბრი-დებზე, რომლებსაც მისი თანამედროვეები დუმილით შეხვდნენ. მაგრამ ცნება “გენის” შესახებ ჯერ კიდევ არ არსებობდა და მენდელი მას მემკვიდრულ ნასახს უწოდებდა, რომელიც იმყო-ფებოდა სასქესო ქრომოსომაში, ხოლო მისი ბუნება ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო.

1900 წელს სამა მეცნიერმა ერთმანეთისაგან დამოუკი-დებლად დე ფრიზმა (ჰოლანდიაში), ჩერმაკმა (ავსტრიაში) და კორენსმა (გერმანიაში) ხელახლა აღმოაჩინეს მენდელის კანო-ნები. ამიტომ ეს წელი ითვლება გენეტიკის მეცნიერების დაბა-დების თარიღად.

1902 წელს სეტონმა და ბოვერმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ მენდელის მემკვიდრული ნასახები ლოკალიზებული უნდა იყოს ქრომოსომაში. 1906 წელს ბეტსონმა მეცნიერებაში შე-მოიტანა ტერმინი გენეტიკა. 1909 წელს იოპანსენმა შემო-იტანა გენის ცნება. 1911 წელს მორგანმა და მისმა მოწაფებმა ჩამოაყალიბეს მემკვიდრულობის ქრომოსომული თეორია და ქრომოსომაში გენების ხაზობრივი განლაგების კანონი.

XX საუკუნის დასაწყისში გენეტიკაში ბატონობდა გენე-ბის სტაბილურობისა და უცვლელობის შესახებ წარმოდგენები (ა. ვეისმანი და ბეტსონი), ხოლო თუ ცვლილებები ხდებოდა, (დე ფრიზი) ითვლებოდა, რომ გარემო პირობებისაგან დამოუ-

კიდებლად ხდებოდა. ეს მცდარი აზრი პირველად უარყოფილი იქნა, მაშინ როდესაც ნადსონმა და ფილიპოვმა მიიღეს ინდუცირებული მუტაციები (1925 წ.) სოკოებზე, ხოლო 1927 წელს მელერმა – დროზოფილაზე, სტადლერმა 1928 წელს – სიმინდზე.

ამ პერიოდში აგრეთვე ამტკიცებდნენ გენის განუყოფადობას, მაგრამ 50-იანი წლების შემდეგ ბენზენმა გვიჩვენა, რომ გენი არის დისკრეტული ერთეული. ცილის სინთეზში გენი გამოდის, როგორც მთლიანი ერთეული და ბენზენი აღნიშნავდა, რომ გენი გაყოფადია და, რომ გენის ცვალებადობის ელმენტარული ერთეული არის მუტაციის ერთეული, რომელსაც ბენზენმა უწოდა მუტონი, ხოლო რეკომბინაციის ერთეულს (რომელიც გვხვდება I მეოზური გაყოფის პროფაზაში პომოლოგიურ ქრომოსომებს შორის უბნების გაცვლის დროს) უწოდა რეკონი. მუტონისა და რეკონის მინიმალური ზომა ერთი წყვილი ნუკლეოტიდის ზომის ტოლია.

დღესდღეობით გენის ელემენტალურ სტრუქტურულ ერთეულად თვლიან ერთ წყვილ ნუკლეოტიდს, ხოლო ფუნქციურ ერთეულად კოდონს.

XX საუკუნის 20-იან წლებში დადგენილი იყო, რომ ქრომოსომა შედგებოდა ცილისა და ნუკლეინის მჟავისაგან. კოლცოვი ვარაუდობდა, რომ გენის ფუნქციას ასრულებენ ცილების მოლეკულები და მათ აქვთ თვითწარმოქმნის უნარი, ხოლო შემდეგ დამტკიცებულ იქნა, რომ მემკვიდრული ინფორმაციის მატარებელია არა ცილა, არამედ დნმ.

მემკვიდრულობის ინფორმაციის გადაცემაში მოპოვებულია დამამტკიცებელი საბუთები: ტრანსფორმაციით დამტკიცდა, რომ ვირულენტობის თვისება პნევმოკოკების ერთი შტამიდან მეორეზე გადაიტანება დნმ-ის მოლეკულების ფრაგმენტებით. მემკვიდრულ ინფორმაციის გადაცემაში დნმ-ის II დამამტკიცებელი საბუთი მოიპოვეს ცინდერმა და ლედერბერგმა 1952 წელს, როდესაც მათ აღწერეს ტრანსდუქციის მოვლენა. ეს არის ბაქ-

ტერიოფაგის უნარი დნმ-ის ფრაგმენტები გადაიტანოს ბაქტე-  
რიის ერთი შტამიდან მეორეზე და გადასცეს შესაბამისი თვისე-  
ბა.

XX საუკუნის 40-იან წლებში ბიღლმა და ტატუმბა  
დაადგინეს, რომ გენი პასუხისმგებელია ფერმენტის წარმოქმნა-  
ში, რომელიც უჯრედის მეტაბოლიზმის გზით გავლენას ახდენს  
მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური ნიშნების განვითარებაზე.

XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ჩარგაფმა აღ-  
მოაჩინა აზოტოვანი ფუძეების კომპლემენტალური განლაგება  
დნმ-ის მოლეკულაში და გვიჩვენა, რომ აღნინის რაოდენობა  
ყოველთვის თიმინის რაოდენობის ტოლია, ხოლო გუანინის  
რაოდენობა – ციტოზინისა. ე.ი. დამტკიცდა, რომ მემკვიდრუ-  
ლობის და ცვალებადობის ერთეულია გენი, რომელსაც აქვს  
გარკვეული სტრუქტურა, ფუნქცია და ორგანიზაცია.

არსებობს დნმ და რნმ. რნმ სამი ტიპისაა:

ინფორმაციული რნმ, რომელიც წარმოადგენს დნმ-ის  
გარკვეული უნის ასლს და ასრულებს გენეტიკური ინფორმა-  
ციის გადამტანის როლს დნმ-დან ცილის სინთეზის ადგილას  
(რიბოსომებში) და უშუალოდ იღებს მონაწილეობას ცილის  
მოლეკულის სინთეზში.

ტრანსპორტული რნმ-ს გადააქვს ამინომჟავები ციტო-  
პლაზმიდან რიბოსომებში.

რიბოსომული რნმ შედის რიბოსომების შემადგენლობაში.  
მეცნიერები თვლიან, რომ რიბოსომული რნმ უზრუნველყოფს  
გარკვეულ სივრცით ურთიერთგანლაგებას ინფორმაციულ რნმ-  
სა და ტრანსპორტულ რნმ-ს შორის.

დნმ-ის რეპლიკაცია – დნმ-ის მოლეკულის რეპლიკაცია  
ხდება ინტერფაზის სინთეზის პერიოდში. დედისეული მოლე-  
კულის თითოეული ჯაჭვი წარმოადგენს მატრიცას შვილეული  
დნმ-ის ჯაჭვისათვის. რეპლიკაციის შედეგად სინთეზირებული  
დნმ-ს მოლეკულა შეიცავს ერთ “დედისეულ” ჯაჭვს და მეორე

“შვილეულ” ჯაჭვს. მაშასადამე ღნმ-ის სინთეზი მიმდინარეობს ნახევრადკონსერვატორული ხერხით (პრინციპით).

## ამოცანები

### ამოცანა

გენები, რომლებიც უნდა ჩაერთონ მუშაობაში,  $G_2$  პერიოდში დარჩნენ არააქტიურნი. მოახდენს თუ არა ეს გავლენას მიტოზის მსვლელობაზე?

### ამოცსნა

$G_2$  პერიოდში სინთეზირდება ის ცილები, რომლებიც საჭიროა გაყოფის თითისტარას წარმოსაქმნელად. მათი არ არსებობის შემთხვევაში მიტოზის ანაფაზაში ან დაირღვევა ქრომატიდების დაცილება ან საერთოდ არ მოხდება.

### ამოცანა

თუ ამინომჟავის საშუალო მოლეკულური მასა დაახლოებით 110-ია, ნუკლეოტიდის კი დაახლოებით 300. განსაზღვრეთ რომელია შედარებით მცირე?

### ამოცსნა

დავუშვათ, რომ ცილა შედგება 11 რაოდენობის ამინომჟავებისაგან, მაშინ ამ ცილის მოლეკულური მასა 110n ცილა იქნება. როგორც ვიცით, თითოეული ამინომჟავა კოდირებულია სამი ნუკლეოტიდით, ხოლო თუ თითოეული ნუკლეოტიდის მასაა 300, მაშასადამე, ღნმ-ის ჯაჭვი 3n მონომერს უნდა შეიცავდეს და მისი მოლეკულური მასა იქნება  $300 \times 3 = 900n$ ; ე.ი. გენის მოლეკულური მასაა  $900n$ , დაახლოებით 8,2-ჯერ მეტია ნუკლეოტიდის მოლეკულურ მასაზე ( $900:110=8,2$ ).

## **ამოცანა**

დნმ-ის მოლექულის ერთ ჯაჭვს გააჩნია შემდეგი ნუკ-ლეოტიდური თანმიმდევრობა: ააგგცცოცთაგგთაცცაგთ,

1. განსაზღვრეთ ი-რნმ-ის ნუკლეოტიდური თანმიმდევრობა კომპლემენტალურ ჯაჭვში;
2. განსაზღვრეთ კომპლემენტალურ ჯაჭვში სინთეზირებული კოდონების თანმიმდევრობა ი-რნმ-ში.

## **ამოცსნა**

1. კომპლემენტარობის პრინციპით ვაგებთ დნმ-ის მეორე მოლექულის ჯაჭვს.

ა	ა	გ	გ	ც	ც	თ	ც	თ	ა	გ	გ	თ	ა	ც	ც	ა	გ	თ
თ	თ	ც	ც	გ	გ	ა	გ	ა	თ	ც	ც	ა	თ	გ	გ	თ	ც	ა
ა	ა	გ	გ	ც	ც	უ	ც	უ	ა	გ	გ	უ	ა	ც	ც	ა	გ	უ

2. დნმ-ს II ჯაჭვიდან ვაგებთ ი-რნმ-ს მოლექულას.

## **ამოცანა**

შესაძლებელია თუ არა ადამიანის უჯრედში კოდირებული ცილის მიხედვით სტრუქტურული გენის შედგენილობის განსაზღვრა, თუ ცნობილია ცილის სტრუქტურა.

## **ამოცსნა**

ცილის სტრუქტურის მიხედვით შეიძლება დავადგინოთ მხოლოდ ეგზონების ნუკლეოტიდების შედგენილობა და თანმიმდევრობა, ხოლო ადამიანის გენებში, ისევე როგორც ეუკარიოტებში, მოცემულია ინტრონებიც.

### **ამოცანა**

ნამელისებურუჯრედული ანემიით დაავადებულ ადამიანს ხ ჰემოგლობინის მე-6 მდგომარეობაში გლუტამინის მჟავა შეცვლილია ამინმჟავა ვალინით. რით განსხვავდება ამ ავადმყოფობით დაავადებული ადამიანის დნბ ჯანმრთელისაგან?

### **ამოქსნა**

განსხვავებული იქნება ვალინის კოდით, ჯანმთელს კი ექნებოდა გლუტამინის მჟავას კოდი.

### **ამოცანა**

დავუშვათ, რომ ეუკარიოტებსა და პროკარიოტებს უჯრედში აქვთ ერთნაირი სიგრძის სტრუქტურული გენები. ერთნაირი სიგრძის იქნება თუ არა ამ გენებში კოდირებული პოლი-პეპტიდი.

### **ამოქსნა**

ამ გენებში კოდირებული პოლიპეპტიდის სიგრძე ეუკატიოტულ და პროკარიოტულ უჯრედში ერთნაირი იქნება, რადგან კოდი უნივერსალურია.

### **ამოცანა**

უჯრედს ახასიათებს სრული მიტოზური ციკლი. ასეთ შემთხვევაში ყველა გენმა უნდა შეასრულოს თუ არა აუტო და პეტეროსინთეტიკური ფუნქცია?

### **ამოქსნა**

აუტოსინთეტიკურ ფუნქციას (დნმ-ს რეპლიკაცია) ასრულებს ყველა გენები, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში შვილეული უჯრედები გენეტიკურად განსხვავებულები და არა-სრულფასოვანი იქნებიან. ჰეტეროსინთეტიკურ ფუნქციას ასრულებს მხოლოდ ის გენები, რომლებშიც კოდირებულია ის ცი-

ლები, რომლებიც აუცილებელია უჯრედის ცხოველმყოფელთბისათვის.

### ამოცანა

კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის ბირთვებს ქრომოსომების თანაბარი რაოდენობა აქვთ, მაგრამ კვერცხუჯრედში ციტოპლაზმისა და ციტოპლაზმური ორგანოიდების შემცველობა უფრო მაღალია, ვიდრე სპერმატოზოიდში. შეიცავს თუ არა ეს უჯრედები დნმ-ის თანაბარ რაოდენობას.

### ამოცანა

კვერცხუჯრედში დნმ-ს რაოდენობა მეტია, ვინაიდან ის შეიცავს მიტოქონდროიულ დნმ-ს.

### ამოცანა

ცილა შედგება 158 ამინმჟავისაგან, როგორი სიგრძის იქნება მისი განმსაზღვრული გენი, თუ დნმ-ის მოლეკულაში ორ მეზობელ ნუკლეოტიდებს შორის მანძილი შეადგენს  $3,4\text{\AA}$ ?

### ამოცანა

ამოცანის პირობის თანახმად, ცილა შედგება 158 მონომერისაგან. ცილის თითოეული მონომერი (ამინმჟავა) კოდირდება 3 ნუკლეოტიდით. შესაბამისად, გენი, რომელშიც კოდირებულია მოცემული ცილა შეიცავს  $158 \times 3 = 474$  ნუკლეოტიდს. თითოეულის სიგრძე  $3,4\text{\AA}$ , მაშინ გენის საერთო სიგრძე უდრის:  $3,4 \times 474 = 1612$   $1,6 \cdot 10^{-4}\text{მმ}$ .

### ამოცანა

ფაგის ნუკლეინის მჟავას მოლეკულური წონაა  $10^7$ . დაახლოებით რამდენი ცილაა მასში კოდირებული, თუ ჩავთვლით, რომ ტიპიური ცილა საშუალოდ შედგება 400 მო-

ნომერისაგან, ზოლო ნუკლეოტიდების მოლეკულური წონა დაახლოებით 300-ის ტოლია?

### ამონა

ცილა, რომელიც შეიცავს 400 მონომერს კოდირდება 1200 ნუკლეოტიდური თანმიმდევრობით (თითოეულ ამინო-მჟავაზე სამ-სამი ნუკლეოტიდი). ასეთი მაკოდირებელი ჯაჭვის (გენის) მოლეკულური წონაა  $300 \times 1200 = 360000$ . ნუკლეიინის მჟავას მოლეკულა, რომლის მოლეკულური წონაა  $10^7$ . შეიცავს  $\frac{10^7}{360000} \approx 28$  ასეთ გენებს, ე.ი. სწორედ ასეთი რაოდენობის სხვადასხვა ცილაა მასში კოდირებული.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ა. შათირიშვილი, ი. ჭუჭულაშვილი – გენეტიკური ამოცანების კრებული, 1981 წ.
2. Б.Х. Соколовская – Сто задач по генетике и молекулярной биологии, 1970 г.
3. პოფმან-კადოშნიკოვი – ზოგადი და სამედიცინო გენეტიკის ამოცანათა კრებული, 1981 წ.
4. გ. გულიაევი – გენეტიკა. 1989 წ.
5. Е.И. Морозов, Е.И. Тарасова, В.С. Анохина – Генетика в вопросах и ответах. 1989 г.
6. Н. Н. Орлов – Сборник задач по общей генетике, 1982 г.
7. Р.Г. Заяц, В.Э. Бутвиловский, И.В. Рачковская, В.В. Давыдов – Общая и медицинская генетика, 2002 г.
8. Д. Тейлор, Н. Грин, У. Старт – Биология, 2002.

# სარჩევი

ნინასიტყვაობა	5
I თავი	6
მოცოდიგრიფული შეჯვარება	6
ამოცავები მოცოდიგრიფულ შეჯვარებაზე	7
მრავლობითი ადალიზმი	11
ამოცავები	12
რეზე-ზაპტორი	15
ამოცავები	16
არასრული დომინირება	17
ამოცავები	18
კოდომინირება	19
მოცოდიგრულული ამოცავები ადამიანის განეთიკაში	20
II თავი	24
დიდიგრიფული შეჯვარება	24
ამოცავები	24
III თავი	36
სესითან შეჯიბული ნიშვნების მემკვიდრულობა	36
ამოცავები	38
IV თავი	45
განთა შეჯიბულება	45
ამოცავები	47
V თავი	53
არაადელურ განთა ურთიერთქმედება	53
ამოცავები	54
არაალელურ განთა კომპალემენტარული მოქმედება	57
ამოცავები	58
არაალელურ განთა კოლიმარული მოქმედება	60
ამოცავები	60
განის ალეიოფრონული მოქმედება	63
ამოცავები	66
VI თავი	67
მემკვიდრულობის ძირიული საფუძვლები.	67
განის ცხების ეკოლუცია	67
ამოცავები	70
გამოყენებული ლიტერატურა	75